MES 3 21 0000684746

07/07/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 23.06.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 23:41სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი (საკითხი I, II, III, V, VI, VII)
სხდომის თვმჯდომარე: ნინო იმნაძე (საკითხი IV)
სხდომის მდივანი: ეკატერინე ნაცვლიშვილი (საკითხი I, II, III)
საბჭოს მდივანი: მარიამშენგელია; (საკითხი IV, V, VI,VII)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინოიმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამშენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანესიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ელენეჟურავლიოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ნინოჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. **ანზორბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

8. **გაიოზფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. **ელიზბარელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი

10. **ნიკათიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

11. **გიორგიღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

12. **დავითკაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;

13. **დიანამჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

14. **ეკატერინენაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

15. **თამარჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

16. **თეონამატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

17. **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

18. **ნინოინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	შოთა კეჟერაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	დავით ბურჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	თამარ მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულებისდას ახელება	სტატუსი	საკითხი

1.	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II, III
2.	დავით თარნიშვილი		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	I, II, III
3.	ზურაბ თავართქილაძე		ასოცირებული პროფესორი	I, II, III
4.	თინათინ კახნიაშვილი		პროფესორი	I, II, III
5.	თეიმურაზ ზაქარაშვილი		პროფესორი	I, II, III
6.	მაია თოდუა		ასოცირებული პროფესორი	I, II, III
7.	ნუნუ მეტრეველი		პროფესორი	I, II, III
8.	ანდრეა როგავა		ასოცირებული პროფესორი	I, II, III
9.	გია ჯაფარიძე		პროფესორი	I, II, III
11.	დავით ნატროშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	IV
12.	მაია მაჭავარიანი-წერეთელი		პროგრმის ხელმძღვანელი	IV
13.	დავით რაზმაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	რექტორის მოადგილე	V
14.	მარიამ ღამბაშიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
15.	იოსებ ჯაფარიძე		მაგისტრატურის ხელმძღვანელი	V
16.	ზურაბ აგლაძე		უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V
17.	დავით მახვილაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	VI, VII
18.	ოთარ გელაშვილი		სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი.	VI, VII
19.	ნათია ბუთხუზი		სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის	VI, VII

			უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
20.	გოდერძი ტყეშელაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ ხელმძღვანელი.	VI, VII
21.	გივი გოლეთიანი		ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საკვები პროდუქტების წარმოება-გადამუშავება და სამაცივრო მოწყობილობები“ ხელმძღვანელი.	VI, VII
22.	ბორის გითოლენდია		ასოცირებული პროფესორი.	VI, VII
23.	თამარ ქამხაძე		ასოცირებული პროფესორი.	VI, VII
24.	თამარ რუხაძე		ასოცირებული პროფესორი.	VI, VII
25.	ვაჟა ქირია		ასოცირებული პროფესორი.	VI, VII
26.	ზურაბ ლაზარაშვილი		ასოცირებული პროფესორი.	VI, VII
27.	უგზარ ბაღათურია		სტუ-ის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი.	VI, VII
28.	სულხან სულაძე		დამსაქმებელი.	VI, VII
29.	ნუგზარ კვირიკაშვილი		დამსაქმებელი.	VI, VII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	რევაზ შანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
2	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
3	რევაზ ჭიღლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
4	ლილი ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
5	ეკატერინე ფირცხალავა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	თინათინ გვაძაბია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
7	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
8	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

9	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	V
10	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
11	ნინო ზარნაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
12	ნინო სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
13	თეონა დათიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
14	ლევან გულუა	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
15	ქეთევან კინწურაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
16	ანა ხითარიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
17	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
I, II, III საკითხების განხილვისას საბჭოზე არ იმყოფებოდა საბჭოს მდივანი მარიამ შენგელია, რის გამოც აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე - 4 პუნქტის მიხედვით, საბჭოს სხდომის მდივნად განისაზღვრა ეკატერინე ნაცვლიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14**:12** საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა და ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა და ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7.. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების წარმოება-გადამუშავებისა და სამაცივრო მოწყობილობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა
დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა და ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა და ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების წარმოება-გადამუშავებისა და სამაცივრო მოწყობილობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	#98, 17 ოქტომბერი 2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 ფიზიკა/Physics
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N1, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის S კორპუსი
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

მეორე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა და ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკა და ასტრონომია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	#102, 17 ოქტომბერი 2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკისა და ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამა (ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა და კოსმოლოგია; თეორიული ასტროფიზიკა; კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა; ვარსკვლავთ და გარე გალაქტიკური ასტრონომია; მზის ფიზიკა; კოსმოლოგია; ატმოსფეროსა და იონოსფეროს ფიზიკა; ბიო ფიზიკა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 ფიზიკა/Physics
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა და ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკა და ასტრონომია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	#104, 17 ოქტომბერი 2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკისა და ასტრონომიის სადოქტორო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის დოქტორი PhD in Physics
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 Physic
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	48 ECTS
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლისN3, 0162 თბილისი, საქართველოილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისG. S დაT კორპუსები
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ელენე ჟურავლოვამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

ვინაიდან, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა თანმიმდევრობის დაცვით, შესვენების გარეშე განეხილათ სამივე პროგრამა და სამივე პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ემსჯელათ ერთი სათათბირო შესვენების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რევაზ შანიძემ აღნიშნა, რომ ასტრო ფიზიკის, თეორიული ფიზიკის (მყარი ტანის და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა) და ბიო ფიზიკა მიმართულებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი მოწინავე და წამყვანი უნივერსიტეტია საქართველოში. მან ასევე განმარტა, რომ აღნშნული უნივერსიტეტი ორიენტირებულია კვლევაზე, ასევე აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია ცნობილი მეცნიერებით, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული კვლევებში. ექსპერტთა ჯგუფს ქონდა ფორმალური ხასიათის რჩევები, რომლებიც გაწერილია ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გამოირჩეოდა დეტალური განხილვით, პროფესიონალური და მეგობრული მიდგომით. ასევე მან განმარტა, რომ საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საბაკალავრო ნაშრომი. ნებისმიერი სტუდენტის თუ მკვლევარის ნაშრომი არის შემოქმედებითი პროცესი, რაც გაწერილია ძირითადი ბლოკების მიხედვით. მაგრამ დაწესებულებას მიაჩნია, რომ მეტად კონკრეტული დეტალიზაცია შესაძლოა სახიფათო აღმოჩნდეს სტუდენტის შემოქმედებითი თავისუფლებისათვის და შეზღუდოს სტუდენტის ინდივიდუალური მიდგომა, ნიჭის და სიახლის გამოვლენის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, დაწესბეულებას ფართო ბლოკებად აქვს წარმოდგენილი აღნიშნული საკითხი და არც საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მხრიდან არ დაფიქსირებულა უარყოფთი დამოკიდებულება. სადიპლომო ნაშრომის შემოქმედებით ნაწილში სტუდენტისათვის თავისუფლების მინიჭება წარმოდგენს დაწესებულების მიზანს საბოლოოდ მიიღოს კვალიფიციური კურსდამთავრებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წვერმა გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას, გამოკითხულ 3 დამსაქმებელთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიკითხნენ როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე. რამდენად რელევანტურად შეიძლება ჩაითვალოს 3 დამსაქმებლის შეფასება? ასევე ბიუჯეტთან დაკავშრებით, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტიდან კარგად არ ჩანს სტანდარტის მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს ფინანსური მდგრადობის დადგენას.
საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ რამდენი სტუდენტი გამოთქვამს სწავლის სურვილს აღნიშნულ პროგრამზე. ასევე კურსდამთავრებულთა რამდენი პროცენტი აგრძელებს სწავლას შემდეგ საფეხურზე და როგორია დასაქმების პოლიტიკა?
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ რევაზ შანიძემ, გამოკითხულ დამსაქმებლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დამსაქმებელთა ძირითად ნაწილს წარმოადგენენ დაწესებულების აკადემიური პერსონალი, რადგან მათი დიდი ნაწილი დასაქმებულია ასტოფიზიკის

ობსერვატორიაში, რომელიც გამოეყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და დღეს ეროვნული სამეცნიერო ცენტრია, ასევეა ფიზიკის ინსტიტუტი. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ დაწესებულებამ თავი შეიკავა საკუთარი თავის წარდგენისგან.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ, დამსაქმებელთა უკუკავშირთან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ ინსტიტუციები, რომლებიც წარმოადგენენ დამსაქმებლებს სამივე პროგრამის სტუდენტებისათვის, თავად არიან ჩართულები ამ პროგრამის შემუშავებაში, აქედან გამომდინარე მათთან ინტერვიუ დაწესებულებამ არ ჩათვალა მიზანშეწონილად. რაც, შეეხება სამ დამსაქმებელს (საქ.ნავიგაცია, დელტა და ვეკუას სკოლა), მათ გადაეგზავნათ სამივე პროგრამა. დაწესებულება ფიქრობს, რომ კარგი უკუკავშირი მიიღო დამსაქმებლებისგან, რაც შემდგომ გამოადგათ პროგრამის გაუმჯობესებისთვის და ხარისხის საბაზო პრინციპის დაცვისათვის. აღნიშნული ფოკუს ჯგუფი, მიუხედავად კვლევის მეთოდების რაოდენობისა ორიენტირებული იყო თვისებრივ მონაცემებზე და უკუკავშირზე, რაც პროგრამის მიზნებისათვის უფრო ეფექტურია. რაც შეეხება, სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით, აღნიშნული მონაცემები ასახულია თვითშეფასების ანგარიშში. ეს პროგრამა არის მცირე რიცხოვანი, წელიწადში ცხადდება მხოლოდ 15 ვაკანსია, თუმცა მოთხოვნა მაღალია. სამივე საფეხურის პროგრამა ორიენტირებულია კვლევაზე რისი რესურსიც უნივერსიტეტს გააჩნია. რაც შეეხება კურსდამთავრებულთა დასაქმებას, დაწესებულების მონაცემების მიხედვით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა საერთო მაჩვენებელი 95 %-ია, ხოლო კურსდამთავრებულთა 25 % აგრძელებს სწავლას მაგისტრატურაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა,დავით თარხნიშვილმა ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა არ არის მაღალ ბიუჯეტიანი, სტუდენტების სიმცირიდან გამომდინარე. ჯამური ბიუჯეტი აღემატება 38 000 ლარს. ბიუჯეტში, მოცემულია შეფასებითი ხარჯები, რომელიც შეეხება პროგრამისთვის საჭირო სასწავლო მასალების და ა.შ. არსებობს ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტი, საიდანაც დაახლოებით 20 000 ლარი გამოიყოფა ყოველწლიურად ხარჯებზე, რომელიც შეტანილია სილაბუსში (მაგ:საველე გასვლა, ლაბორატორიაში ან ობსერვატორიაშ გასვლა), აქედან გამომდინარე პროგრამა არ განიცდის თანხის ნაკლებობას

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რევაზ შანიძემ აღნიშნა, რომ სამივე პროგრამა კვლევაზე არის ორიენტირებული, ხოლო საფეხურის ზრდასთან ერთად იზრდება კვლევითი კომპონენტიც. ინსტიტუციას აღნიშნულ პროგრამაზე აქვს რამდენიმე ისეთი მნიშვნელოვანი პრაქტიკა, რომლის დანერგვაც სხვა უნივერსიტეტებისათვისაც კარგი იქნებოდა. ერთ-ერთი პირველი არის შიდა საკვლევი ინსტიტუტების სისტემა, სადაც მაღალი შეფასების სტუდენტს, რომელმაც ვერ შეძლო დასაქმების შრომის ბაზარზე დამკვიდრება, ეძლევა საშუალება ჩაერთოს ინსტიტუციის მუშაობაში, რაც ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ასევე დაწესებულება კარგად იყენებს ქართველი მეცნიერების რესურს, რომლებიც მოღვაწეობენ საზღვარგარეთ და ცნობილ უნივერსიტეტებთან აქვთ აპელაცია, რაც ხელს უწყობს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას. მან ასევე აღნიშნა რომ, პროგრამას ჰქვია ფიზიკისა და ასტრონომიის პროგრამა, ხოლო ასტრონომიის პროგრამა სხვა არცერთ უნივერსიტეტში არ ისწავლება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ჯაფარიძემ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მუშაობას დადებითად ადასტურებს ის ფაქტები, როდესაც კურსდამთავრებულები აგრძელებენ მოღვაწეობას დასავლეთის უნივერსიტეტებში ადვილად ადაპტირდებიან იქ. ეს არის კრიტიკული მახასიათებელი, რადგან ბევრი სტუდენტი, რომელიც

მიდის უცხოეთში მაგრამ ვერ მკვიდრდება და აღარ აგრძელებს მოღვაწეობას მეცნიერებაში. ხოლო, როდესაც კურსდამთავრებულს, ტოვებენ იწვევენ და ახერხებს დამკვიდრებას, ეს არის დამადასტურებელი კრიტერიუმი იმისა, რომ მომზადების დონე არის მაღალი. ყოველ წლიურად ასტრონომიის მიმართულებით, აღნიშნული პროგრამიდან საშუალოდ 4-5 სტუდენტი გადის ევროპაში. სწორედ ინდივიდუალური მუშაობის მეთოდის საშუალებით ხდება ის, რომ მიღებული 15 სტუდენტიდან, მინიმუმ 5-6 კვალიფიციური მეცნიერი მზადდება საქართველოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღნიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, 3 დამსაქმებლის გამოკითხვის რელევანტურობასთან დაკავშირებით და ასევე ბიუჯეტის მდგრადობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ჯაფარიძემ, აღნიშნულთან დაკავშირებით თქვა, რომ ეთანხმება საბჭოს წევრს მონაცემების სიმცირესთან დაკავშირებით, თუმცა დაწესებულებას საქართველოს ყველა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტიდან მოსდის ინფორმაცია, შესაბამისად ბაზარი კარგად არის ცნობილი. თუმცა არის საკანონმდებლო პრობლემაც სტუდენტების დასაქმებასთან დაკავშირებით, რადგან სტუდენტს, რომელიც მუშაობს დიპლომზე კანონმდებლობის გათვალისწინებით ვერ აიყვანს სამსახურში დამსაქმებელი. თუმცა უნივერსიტეტს შიგნით არსებული ცენტრები იძლევა ამის საშუალებას, რაც უპირატესობას წარმოადგენს ასევე.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, კვლევით საკითხებთან დაკავშირებით, თუ რა დროს ატარებენ სტუდენტები კვლევით ლაბორატორიებში საბოლოო ნაშრომის გაფორმებამდე?

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, თუ როგორია სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხი შინაარსთან მიმართებაში?

საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ, კითხვით მიმართა, კონცენტრაციის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, როგორია ინსტიტუციის პოზიცია ამასთან დაკავშირებით?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ გამოკითხულ დამსაქმებელთა სიმცირის მიზეზი სამაგისტრო პროგრამაშიც იგივეა, რაც იყო საბაკალავრო პროგრამაზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, რევაზ ჭიღლაძემ სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ნაშრომები კარგად არის შესრულებული. დებულების მიხედვით განსაზღვრული 45 გვერდის ნაცვლად გაორმაგებულია ნამუშევრის რაოდენობა, თანამედროვე ლიტერატურის, კონფერენციების გამოყენებით.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა, ნუნუ მეტრეველმა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას საკვლევ დროსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტები პირველივე სემესტრიდან იწყებენ ურთიერთობას სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და ერთვებიან კვლევაში. სწავლების პირველი სემესტრიდან იწყებენ დაკვირვებას კვლევებზე, ხოლო შემდგომ თვითონ ირჩევენ კვლევით მიმართულებას, რომელზეც სურთ მუშაობა სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა ანდრია როგავამ დაამატა, რომ რიგ შემთხვევებში სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას იწყებენ ბაკალავრიატის ბოლო კურსზე, რადგან საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სწორედ გარდამავალ ეტაპს მაგისტრატურაზე. ამას ასევე განაპირობებს, ის ფაქტი, რომ ბაკალავრები ჩართულები არიან კვლევით პროექტებში და მუშაობენ, როგორც დამხმარე პერსონალი. კვლევითი პროექტები ფინანსდება რუსთაველის ფონდიდან.

კონცენტრაციებთან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ, რომ პროგრამას აქვს დაახლოებით 7 კონცენტრაცია, კლასიფიკატორის დოკუმენტის მიხედვით კონცენტრაციის არსებობის შემთვევაში პროგრამის სწავლის შედეგებში უნდა აისახოს შესაბამისი შედეგები. პროგრამის მიზანში არის თითოეული კონცნეტრაცია განსაზღვრული, ასევე პროგრამის პირველ სწავლის შედეგშია მითითებული, რა მიმართულებით ექნება სიღრმისეული ცოდნა სტუდენტს. ხოლო მე-4 სწავლის შედეგში წერია, რომ შესაბამისი კონცენტრაციით, ეს იქნება ბიო ფიზიკა თუ ასტრონომია სტუდენტი შეძლებს კვლევის დამოუკიდებლად წარმოებას. ასახულია კონცენტრაციების სპეციფიკა და დაცულია კლასიფიკატორის მოთხოვნა. კლასიფიკატორში კონცენტრაციის სპეციფიკაზე ჩანაწერი გამოწვეულია იმით, რომ ტრანსკრიპტში უნდა ჩანდეს მიმართულების სპეციფიკა, რა მიმართულებითაც ამთავრებს სტუდენტი სწავლას.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, თუ რამდენად არის შესაბამისი სწავლების საფეხურთან ინგლისური ენის B1 დონე და რამდენად გაზომვადია სწავლის შედეგების ფორმულირება?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა რომ სამაგისტრო დონეზე იწყება საკვლევი სამუშაოები, სადაც ინგლისური ენის ცოდნის გარეშე სტუდენტი ვერ გაეცნობა ლიტერატურას, შესაბამისად ლოგიკურია მინიმალური ზღვარად B1 დონის განსაზღვრა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ჯაფარიძემ დაამატა, რომ უმჯობესია შედარებით მაღალი დონის განსაზღვრა, თუმცა გამოცდილების მიხედვით სტუდენტი რომელსაც აქვს ფიზიკოსის კარგი მონაცემები, ინტენსიური ინგლისურის სწავლებისთვის განსაზღვრულ ორ წელიწადში იღებენ იმ შედეგს რაც სჭირდებათ. ძირითადად სტუდენტების შედეგი უკეთესია ვიდრე B1 დონე. როდესაც სტუდენტი გამოირჩევა კარგი მონაცემებით, მისი შეზღუდვა ინგლისური ენის მაღალი დონის განსაზღვრით არ იქნება სამართლიანი.

სწავლის შედეგებთან და ინგლისური ენის B1 დონესთან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა, დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ და აღნიშნა რომ B1 დონე განსაზღვრავს მინიმალურ კონპენტენციას, რომლითაც ხდება სტუდენტის მიღება. პროგრამაში განსაზღვრულია, რომ თუ კი კანდიდატმა არ დაადასტურა შესაბამისი დონე ის ეთიშება კონკურსს. ასევე მკაფიოდ ჩანს თუ რა კომპენტენციებს ითვალისწინებს B1 დონე, რომელიც დადგენილი და დადასტურებულია British Council-ის მიერ, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული სტუდენტის ინგლისური ენის B1 დონის შემთვევაში რა მოლოდინები უნდა იყოს. კომპენტენციების გათვალისწინებით დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ მიღების ზღვრად B1 დონის განსაზღვრა მისაღებია, რასაც, ასევე ადასტურებს ის ნაშრომები, რომლებიც შემოწმებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ. რაც შეეხება სწავლის შედეგებს და მათ ფორმულირებას, ნებისმიერი სწავლის შედეგი არის გაზომვადი, მაგალითად „აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა, როგორც ფიზიკის ფუნდამენტური კანონებისა და პრინციპების, ასევე არჩეული მიმართულებებით აქტუალური საკითხების, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ“, ცოდნის შესამოწმებლად დაწესებულებას გამოყენებული აქვს სამაგისტრო ნაშრომი, კერძოდ გამოყენებული ლიტერატურის ნაწილი, რაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სიღრმისეული

ცოდნის შესამოწმებლად, აქედან გამომდინარე გაზომვადია სწავლის შედეგიც. ასევეა მეორე სწავლის შედეგი „შეუძლია რიცხვითი და ანალიზური მათემატიკური მეთოდების გამოყენება, ფიზიკური მოვლენების, თეორიული მოდელების და ფიზიკის რთული ამოცანების ამოხსნისთვის, მათ შორის კომპიუტერული პროგრამების გამოყენება“ აქაც ძალიან მკაფიოდ ჩანს თუ რა კომპეტენციას ელოდება დაწესებულება სტუდენტების მხრიდან. აქედან გამომდინარე ფორმულირების დონეზე და შემდგომ პროგრამის წარმატებულობის ეტაპზე გაზომვადია აღნიშნული სწავლის შედეგები.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშილმა დაამატა, რომ სამაგისტრო პროგრამაში B1 დონის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ან კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ არ აყენებს საბაკალავრო პროგრამის შედეგს სტუდენტის ინგლისური ენის B2 დონზე გაყვანასთან დაკავშირებით?

დაწესებულების წარმომადგენელმა თინა კახნიაშილმა ინგლისური ენის დონესთან დაკავშირებით განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული არ აგრძელებს სწავლას. ასევე დაამატა, რომ როდესაც საბაკალავრო დონეზე მიმდინარეობს კვლევა ამ შემთვევაში ხდება სტატიების წაკითხვა, თუმცა ინგლისურ ენოვანი სემინარების ან ლექციების მოსმენის გამოყენება კვლევის ეტაპზე არ ხდება, შემდგომ საფეხურის ზრდასთან ერთად იზრდება ინგლისური ენის დონის ზრდის მოთხოვნაც.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა რომ მისი კითხვა ბაკალავრიატზე განსაზღვრულ სწავლის შედეგთან იყო ზოგადი და არ შეეხებოდა მხოლოდ აღნიშნული უნივერსიტეტის სწავლის შედეგს. ამიტომ სამაგისტრო პროგრამაზე B1 დონის მოთხოვნა ხომ არ ნიშნავს იმის აღიარებას, რომ საბაკალავრო პროგრამები ვერ გადიან სწავლის შედეგზე?

დაწესებულების წარმომადგენელმა თინა კახნიაშილმა, უპასუხა, რომ ნებისმიერ უცხოურ უნივერსიტეტში, როდესაც სტუდენტი არის არაინგლისურ ენოვანი მას მოეთხოვება გამოცდის ხელახალი ჩაბარება, რაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტებში საბაკალავრო სწავლების შედეგები ეჭვქვეშ დგება. დაწესებულებას აქვს პროგრამა, რომელიც არ არის შეზღუდული მარტო ერთი ინსტიტუტით. დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ დაამატა, რომ საბაკალავრო პროგრამაზე ხდება ყველა სტუდენტის მიღება ნებისმიერი კომპეტენციით თუ პროგრამა არ არის ინგლისურ ენოვანი, შესაბამისად როდესაც საბაკალავრო საფეხურზე მოდის სტუდენტი ის ნებისმიერი ენის კომპეტენციით, აღნიშნულ პროგრამაზე აგრძელებს ინგლისური ენის სწავლას შესაბამისი დონის მიხედვით, დონის განსაზღვრა ხდება ტესტებით. ეროვნული გამოცდების მონაცემების მიხედვით, სტუდენტები, რომლებიც სკოლიდან მოდიან ინგლისური ენის ცოდნით, ვერ ადასტურებენ ენის კომპეტენციას ეროვნულ გამოცდებზე B1 დონეზე. ამიტომ შეიძლება დაწესებულებაში მოუწიოთ ბევრად უფრო დაბალი საფეხურიდან ინგლისური ენის შესწავლა, შესაბამისად ერთგვაროვანი სურათი არ არის და სტუდენტი საბოლოოდ მიიღებს იმ შედეგს რომელიც განისაზღვრება თუ რა საფეხურზე დაიწყო ინგლისური ენის შესწავლა დაწესებულებაში. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია აკადემიური ინგლისური, სადაც სტუდენტები შეძლებენ უფრო მეტად აიმაღლონ ინგლისური ენის კომპეტენცია, აქედან გამომდინარე ენის მიღებასთან დაკავშირებული ხარვეზი არ აისახება სწავლის შედეგებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაია თოდუამ დაამატა, რომ მაგისტრატურის საფეხურზეც აგრძელებენ სტუდენტები ინგლისური ენის შესწავლას და აკადემიური ინგლისური წარმოადგენს სავალდებულო კურსს.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რევაზ შანიძემ მესამე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციას აქვს კიდევ ერთი სადოქტორო პროგრამა, რომელსაც ლემან ჰაუპტის სადოქტორო პროგრამა ჰქვია, სადაც ასევე საგრანტო პროგრამის საშუალებით დოქტორანტები გერმანიის უნივერსიტეტებში აგრძელებენ კვლევის ნაწილს, ჰყავთ თანახელმძღვანელები, რაც ნიშნავს ინტერნაციონალიზაცის მაღალ დონეზეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით თარხნიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მნიშნელოვან ნაწილს წარმოადგენს ლემან ჰაუპტის თანამშრომლობის პროგრამა, სადაც ფინანსდება კვლევითი პროექტები გოტინგენის უნივერსიტეტთან ერთად. ეს არის პროგრამა, რომელიც გულისხმობსილიას უნივერსიტეტის აღნიშნული სადოქტორო პროგრამისა და ევროპის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების თავსებადობას, ასევე ღიაა თანამშრომლობისთვის მთლიანად ევროკავშირის უნივერსიტეტებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაია თოდუამ დაამატა, რომ დაწესებულება, ასევე თანამშრომლობს ლევენის უნივერსიტეტთან, დოქტურანტურის დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მესამე პროგრამასთან დაკავშირებითაც აქვს იგივე კითხვები, გამოკითხულ 3 დამსაქმებლის რელევანტურობასა და ბიუჯეტთან დაკავშირებით. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით თარხნიშვილმა უპასუხა, რომ სადოქტორო პროგრამაზე სპეციფიურია მიდგომა, რადგან ფიზიკის მიმართულებით დოქტორანტები როგორც წესი აკადემიაში აგრძელებენ მუშაობას, რაც ნაკლებად კომერციულია. პროგრამა ორიენტირებულია მეცნიერული კარიერაზე. შეზღუდულია დასაქმების ბაზარი, ეს შეიძლება იყოს კვლევითი დაწესებულებები და უნივერსიტეტები. დაწესებულების წარმომადგენელმა თინა კახნიაშილმა დაამატა , რომ სტუდენტი, რომელიც თეორიული ფიზიკის განხრით ასრულებს სწავლას, მუშაობას იწყებს არამხოლოდ ფიზიკის მიმართულებით მას აქვს ასევე მეტი თავისუფლება, ის შეიძლება გადავიდეს საინჟინრო სფეროში, ფინანსებში, კვანტურ ეკონომიკაში თუ მსგავს სხვა სპეციალობებში. დაწესებულების წარმომადგენელმა ანდრია როგავამ, აღნიშნა მართალია, რომ დასაქმების არეალი უფრო ფართო უნდა იყოს ვიდრე მხოლოდ აკადემია და ასეც არის, არის შემთხვევები, როდესაც კურსდამთავრებულები, ძალიან წარმატებულები და ძლიერი ფიზიკის მასწავლებლები არიან სკოლებში, რაც აუცილებელია, რადგან დღესდღეობით დეფიციტს წარმოადგენს ფიზიკის კვალიფიციცური მასწავლებელი.

15:08 საათზე, საბჭოს წევრმა ელენე ჟურავლოვამ დატოვა საბჭოს სხდომა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:09
დასრულების დრო: 16:37

პირველი საკითხი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა -სსიპილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი -0
საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:
საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ 1.2, და 4.4 კომპონენეტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა ცვლლებამ არ გამოიწვია პირველი და მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
2. რეკომენდირებულია მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის და შეფასების მიზნებით;

3. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები გაიწეროს ქულების მიხედვით
4. ფაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით
5. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები
1. სასწავლო კურსის კრედიტების ოპტიმიზაცია, საერთო 6 კრედიტიანი სისტემიდან გადასვლა უფრო მოქნილ სისტემაზე, ისე რომ საგნების რაოდენობა არ გაიზარდოს. მაგალითად იმ კურსებში, რომელთა შემადგენლოვაში შედის ლაბორატორია, პრაქტიკული მეცადინეობა და/ან სემინარი დაეთმოს 7 ან 8 კრედიტი.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა და ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა და ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 16

წინააღმდეგი - 0

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ 1.2, 3.1 და 4.4 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა ცვლლებამ არ გამოიწვია პირველი, მე-3 და მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
2. რეკომენდირებულია მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის და შეფასების მიზნებით;
3. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები გაიწეროს ქულების მიხედვით.

4. ფაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით
5. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები

1. გაძლიერდეს სტუდენტების ურთიერთობა დამსაქმებლებთან და მათთან შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა და ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მესამე საკითხი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა და ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა და ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:
საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ 1.2, და 4.4 კომპონენეტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა ცვლლებამ არ გამოიწვია პირველი და მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
1.რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
2. რეკომენდირებულია მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის და შეფასების მიზნებით;
3. საგნების „ასისტირების კონცეფცია“, „დარგობრივი სემინარი“, „სადოქტორო სემინარი I” და „სადოქტორო სემინარი II“ სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს შეფასების კრიტერიუმების განმარტებები ქულების მიხედვით.
4. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები
ფიზიკის მიმართულების სტუდენტების დაბალი რიცხვი საქართველოს უნივერსიტეტებში ზღუდავს პროგრამაზე სწავლის მსურველთა კანდიდატებს. ილიას სახემწიფო უნივერსიტეტების პროფესორების და მეცნიერების მაღალი კვალიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა ამ პროგრამას საერთაშორისო (ინგლისურენოვანი) პროგრამა დაემატოს.
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა და ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეოთხე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Psychology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა და საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

16:38 საათზე სხდომა დატოვა ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

16:40 საათშე საბჭოს შემოუერთდა ელენე ჟურავლიოვა.

16:58 საათზე საბჭოს შემოუერთდა მარიამ შენგელია.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ ონლაინ ვიზიტი განხორციელდა წინასწარ გაწერილი დღის წესრიგის შესაბამისად, მიმდინარე წლის 2 აპრილს. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით, ასევე მათ ქონდათ შესაძლებლობა ელექტრონული საშუალებით დაათვალიერა ბიბლიოთეკა. რაც შეეხება რეკომენდაციებს მან განმარტა, რომ არცერთი რეკომენდაცია არ შეეხებოდა პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ მხარეს. თუმცა იყო რეკომენდაციები 4.1 სტანდარტით გათვალისწინებულ ადამიანური რესურსებთან დაკავშირებით. ვინაიდან პროგრამა არის ინგლისურ ენოვანი, შესაბამისად იყო ორი ძირითადი საკიხითი, პირველი საკუთრივ აკადემიური პერსონალის საკითხი, სადაც იკვეთებოდა რიგი შეუსაბამობები რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციების სახით წარმოადგინა და მეორე საკითხი თუ ვისთვის არის ეს პროგრამა მოწოდებული, ეს არის ქართველი სტუდენტებისთვის თუ უცხოელი სტუდენტებისთვის. უცხოელი სტუდენტების შემთვევაში წამოიჭრება სხვადასხვა საკითები როგორიც არის დასაქმება და სხვა. დაწესებულების პოზიცია ამასთან დაკავშირებით არის რომ, პროგრამა არის როგორც უცხოელი, ასევე ქართველი სტუდენტებისთვის. ამ შემთვევაში დგება საკითხი, ქართველ სტუდენტებს ქართველმა ლექტორებმა რატომ უნდა ასწავლონ ინგლისური ენაზე? თუმცა ინტერნაციონალიზაციის ხაზით სრულიად ადეკვატური და ინოვაციური პროგრამაა. მან ასევე აღნიშნა, რომ არ არის ნათელი, რამდენად შეძლებს აკადემიური პერსონალი, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ამ მოცემულობით, გამომდინარე იქიდან, რომ ინგლისურ ენაზე ლექციის ჩატარება და შემდგომ უკუკავშირი უფრო დიდი გამოწვევაა ვიდრე მშობლიურ ენაზე. ძირითადად შერჩეული კადრები არიან ახალგაზრდები, რაც კარგია თუმცა დგება კვალიფიკაციისა და გამოცდილების საკიხითი, აქედან გამომდინარე წარმოდგენილი სამი რეკომენდაცია შინაარსობრივად უფრო მეტს ნიშნავს ვიდრე რაოდენობრივად. ასევე, განხილულ იქნა საკითხი, პერსონალის კონკრეტული წარმომადგენლების კვალიფიკაციის, გამოცდილების და ხარისხის შეუსაბამობაში ყოფნა, სავალდებულო კურსების შინაარსთან და პროფილთან, რომელიც მათ უნდა წაეკითხათ. ექსპერტთა ჯგუფის პოზიციაა, ბაზარზე

შემოვიდეს ხარისხიანი პროგრამა, რაც ასევე უმჯობესია დარგის განვითრებისთვის, თანაც იმ პირობებში, როდესაც ქართულ ბაზარზე არ არის ინგლისურ ენოვანი პროგრამა. მათი პოზიცია ღია და პოზიტიურია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ნატროშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში, ეჭქვეშ არ არის დაყენებული პროგრამის მიზნობრიობა, შინაარსობრივი მხარე და არც ის თუ ვისთვის არის განკუთვნილი ეს პროგრამა. რაც შეეხება რესურსების ნაწილს, ექსპერტთა დასკვნაში, ყველა სტანდარტში პროგრამას აქვს სრული შესაბამისობა გარდა მე-4 სტანდარტის ერთი ქვესტანდარტისა, რომელიც დაწესებულების მოსაზრებით, სიღრმისეულად განხილვის შემთვევაში არ წარმოადგენს ისეთ რთულ სურათს, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. დასკვნაშივე არის აღნიშნული, რომ პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები წარმოადგენენ გამოცდილ კადრებს. ხოლო კვალიფიკაციის შესაბამისობის საკითხი მხოლოდ 2 ლექტორის შემთხვევაში იწვევდა გაურკვევლობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ კოგნიტური ფსიქოლოგიის ლექტორი კვალიფიკაციით ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორია და დაწესებულებამ პროგრამაზე მისი შერჩევისას, იხელმძღვანელა გამოცდილებით, რადგან საქართველოში სპეციალიზაცია კოგნიტური ფსიქოლოგიის კუთხით არ არსებობს, შესაბამისად არ არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მაგისტრები და დოქტორები. აღნიშნულ ლექტორს აქვს სადოქტორო ნაშრომი შესრულებული, სოციალური კოგნიციის კუთხით და ამჟამადაც კოგნიტურ სფეროში ატარებს კვლევას, გარდა ამისა ასევე აქვს პედაგოგიური გამოცდილება ამ მიმართულებით. ასეთივეა მეორე ლექტორის შემთვევაში მიდგომა, რადგან არის კვალიფიციური ფსიქოლოგი და აქვს მრავალწლიანი გამოცდილება პედაგოგიურ საქმიანობაში. ასევე მან აღნიშნა, რომ პროგრამისთვის გამოწვევა გარდა კვალიფიციური პერსონალისა იყო ენობრივი კომპეტენცია, რაც ასევე ზღუდავდა შერჩევის არეალს.

სხდომის თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას, რომ წერილის მიხედვით დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციებს, როგორია დაწესებულების პოზიცია ამასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით ნატროშვილმა უპასუხა, რომ წერილი შეეხებოდა ფაქტობრივ გარემოებებზე რეკომენდაციების არ არსებობას, თუმცა დაწესებულებამ საჭიროდ ჩათვალა არსებული რეკომენდაციების შინაარსობრივი ნაწილის განხილვა საბჭოს სხდომაზე განხორციელებულიყო. მან ასევე დაამატა, რომ ექსპერტთა დასკვნაში ნახსენებია, რომ პროგრამაში მხოლოდ სამი ლექტორი არის წარმოდგენილი აკადემიური პერსონალიდან ფსიქოლოგიის კვალიფიკაციით, სინამდვილეში ასეთი არის ხუთი ლექტორი, რომლებიც ჯამში 15 სალექციო კურსს ფარავენ, საიდანაც უმეტესობა სავალდებულო სასწავლო კურსია. შესაბამისად პროგრამის მდგრადობა არ არის საფრთხის ქვეშ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით დაამატა, რომ ფორმალური მახასიათებლებით სხვა დარგში აქვს კოგნიტური ფსიქოლოგიის ლექტორს სადოქტორო ნაშრომი შესრულებული თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლებელია ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმოს დაწესებულებას. თუმცა პიროვნული ფსიქოლოგიის ლექტორის შემთვევაში, ეს საგანი წარმოადგენს ფსიქოლოგიის ბაზისურ სავალდებულო კურსს საბაკალავრო პროგრამაში და ხელოვნებათ მცდონეობის დოქტორის მიერ აღნიშნული კურისს წაკითხვა არამიზანშეწონილია. ექსპერტთა მოსაზრებით, ამ შემთვევაშიც იყო შეძლებებლი იგივე თაობის გამოცდილების მქონე კვალიფიციური კადრის მოწვევა, როგორც ეს იყო კოგნიტური ფსიქოლოგიის შემთვევაში მოხდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ნატროშვილმა დაამატა, რომ დაწესებულება ენდო პიროვნული ფსიქოლოოგის ლექტორის მრავალწლიან გამოცდილებას, რადგან აღნიშნული პიროვნება 2016 წლიდან კითხულობს, პიროვნების

ფსიქოლოგიას, პროფესიით ფსიქოლოგია და მისი სადოქტორო კვლევაც ინტერდისციპლინური არის, ასევე შემდგომი კვლევებიც კავშირშია პიროვნების ფსიქოლოგიასთან. დაწესებულებამ იხელმძღვანელა ლექტორის გამოცდილებით სტუდენტთა პოზიუტიური შეფასებით და პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვებით სასწავლო კურსის სწავლის შედეგებზე, რომელსაც აღნიშნული პიროვნენბა ახორციელებს. თუმცა უნივერსიტეტს აქვს რესურსი იმისათვის, რომ სხვამ ჩაატაროს ლექციების აღნიშნულ კურსზე, მაგრამ ამის საჭიროებას ინსტიტუცია ვერ ხედავს ზემოთ ნახსენები ფაქტორების გათვალისწინებით. ასევე განმარტა, რომ 4.1 ქვესტანდარტი ფასდება 14 კრიტერიუმით, საიდანაც 2 კრიტერიუმი არ არის რელევანტური პროგრამისათვის, რადგან სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს შეეხება, ხოლო დარჩენილი 12 კრიტერიუმიდან, 10 კრიტერიუმი სრულ შესაბამისობაშია ქვე-სტანდარტის მოთხოვნებთან, აქედან გამომდინარე მხოლოდ ორი კრიტერიუმით ქვე სტანდარტის მეტწილი შესაბამისობით განსაზღვრა დაწესებულების წარმომადგენლებში კითხვებს ბადებს. ასევე, 37 ლექტორიდან, მხოლოდ ერთი ლექტორის საკითხი არის კითხვის ნიშნის ქვეშ, რისი გამოსწორებაც დაწესებულებას მარტივად შეუძლია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს თუ რამდენად ეხებოდა აღნიშნული რეკომენდაციები მხოლოდ კოგნიტური ფსიქოლოგიიასა და პიროვნული ფსიქოლოგიის კურსებს, რადგან დასკვნის მიხედვით იკვეთება, რომ ეს შეეხება მთლიანად აკადემიურ პერსონალს, ასევე მან კითხვით მიმართა დაწესებულებას ენის კომპეტენციებთან დაკავშირებით, არის თუ არა დაწესებულების მხრიდან შესწავლილი, რამდენად მოთხოვნადია აღნიშნული პროგრამა უცხოელი სტუდენტებისათვის?

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის შემთხვევაში, რამდენად იქნება გამართლებული საკადრო პოლიტიკა, რომელიც ახლა აქვს უნივერსიტეტს, რომ უფრო მეტი რესურსი ჩადოს არსებული აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაში, ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით. ასევე მან კითხვით მიმართ დაწესებულებას, ბიუჯეტთან დაკავშირებით, რომ დაახლოებით 60 000 ლარი არის კვლევით და პროგრამის განვითარების ხარჯზე განსაზღვრული 4 წლის განმვალობაში, ხოლო 40 000 ლარი არის განსაზღვრული ინტერნაციონალიზაციაზე, რაც წელიწადში დაახლოებით 10 000 ლარია, რა იგულისხმება ინტერნაციონალიზაციის ხარჯში, ეს არის სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები თუ პროფესორების კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯი?

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას, რომ რამდენიმე სილაბუსში სწავლის შედეგები ძველი ფორმულირებით არის დატოვებული და ასევე მცირე განსხვავებაა ქართულ პროგრამასა და ინგლისური პროგრამის სწავლის შედეგებში, რამ განაპირობა ეს?

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, წარმოდგენილ დოკუმენტებში განსაზღვრულია, რომ პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტთა მოზიდვაზე, თუმცა არ არის განსაზღვრული, რომელი ქვეყნებიდან იგეგმება სტუდენტების მოზიდვა, აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვნად განაპირობებს, როგორ განისაზღვრება შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი. ასევე არსებობს თუ არა რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, სასწავლო კურსის - პიროვნული ფსიქოლოგიის ლექტორის კვალიფიკაციას ფსიქოლოგიაში და რამდენად არის შესაძლებელი, პრაქტიკული გამოცდილებით იქნას ლექტორი მოწვეული?

საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ინსტიტუციას და ექსპერტებს, მოწვეული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობასთან დაკავშირებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თუ აღნიშნულ საკითხს პრობლემად აღიქვამს დაწესებულება, რა ვადაში იქნება შესაძლებელი ამის გამოსწორება?

სხდომის თავმჯდომარემ, დადებითად შეაფასა პროგრამა, სასწავლო კურსები და ასევე კონცენტრაციები, მან აღნიშნა გარემოს და დიზაინის ფსიქოლოოგიის სილაბუსი, მე-8 და მე-9 თემა, ესენია ხელოვნური გარემოს შეფასება და პროექტირება, არქიტექტურის ესთეტიკური შეფასება. რა მეთოდით ხდება აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აკადემიური პერსონალის საკითხის გლობალურობასთან და სტანდარტთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, ამგვარი შეფასება გამოწვეული იყო იმით, რომ ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამა დგას აკადემიურ პერსონალზე, შესაბამისად აკადემიური პერსონალის კვალიფიციურობა და შესაბამისობა პროგრამასთან არის კრიტიკული მნიშვნელობის, სწორედ ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში პუნქტობრივად გაწერა თანაფარდობის საკითხი, მიმართულებით აფილირებული რაოდენობა და ა.შ. პრობლემა გლობალურია, რაც გამომდინარეობს იქიდან რომ ინგლისურენოვანი პროგრამაა, დაწესებულებას აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით პრობლემა არ აქვს, ქართულენოვან პროგრამებზე თუმცა ენის საკითხი მნიშვნელოვანად ავიწროვებს დიაპაზონს, ამიტომ მოწვეული პერსონალის დიდი ნაწილი არიან ახალგაზრდები, რომლებიც უკეთესად საუბრობენ პროფესიულ ენაზე, თუმცა გადინების საკითხიც შეიძლება დადგეს. დაწესებულებას კარგად აქვს გააზრებული და შერჩეული კადრების საკითხი, თუმცა პროგრამა ვერ იფუნქციონირებს თუ ზუსტად არ იქნება ის კადრი მოძიებული რომელიც სრულად გაართმევს თავს ამ პროგრამას. ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია მეტი მდგრადობისთის და გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებულ იქნას აკადმიური პერსონალის საკითხი. რაც შეეხება კვალიფიკაციის ამაღლებას, თუმცა არსებობს ბაზისური განათლება, რომელიც ცოდნაზე მეტად იძლევა ორიენტაციის კუთხეს და ხედვის კუთხეს. ფსიქოლოგი როგორც აფასებს და უყურებს მოვლენებს, ამის სწავლა მხოლოდ მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეზე არ არის შესაძლებელი. მან ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკა და ტრენინგი კარგია, მაგრამ ბაზისური აკადემიური ცოდნის გარეშე ვერ იქნება ექვივალენტური. როდესაც საუბარია უცხოენოვან პროგრამაზე, რომელიც უნდა გავიდეს ქვეყნის გარეთ და პროგრამის განმახორციელებელია აკადემიური პერსონალი, სწორედ ამიტომ იყო ექსპერტების მხრიდან ამდენი კითხვა და შესაბამისად რეკომენდაცია. მთლიანობაში ექსპერტთა ჯგუფის დამოკიდებულება და მიდგომა დაწესებულების მიმართ იყო პოზიტიური.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ნატროშვილმა კითხვებთან დაკავშირებით განმარტა რომ პროგრამის შექმნის იდეა დაიბადა 4 წლის წინ და საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა ამ იდეის რელიზებას, მათ შორის მოთხოვნაზე დაკვირვებას. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას და გააჩნია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ პროგრამა იქნება წარმატებული. მუდმივ რეჟიმში ხორციელდება დაკვირვება, საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტს აქვს კონტაქტები ქვეყნის გარეთ და ჰყავს აგენტები, რომელებიც მუშაობენ კონკრეტული მიმართულებით. მაგალითად წარმატებით ხორციელდება სამედიცინო პროგრამა და არიან უცხოელი სტუდენტები, რომლებსაც ელოდება დაწესებულება. ისეთ ქვეყნებში, როგორი არის ინდოეთი და პაკისტანი დაწესებულების წარმომადგენლები უკვე აქტიურად მუშაობენ სტუდენტების მოზიდვაზე. გარდა ამისა ხშირად იღებს დაწესებულება უცხოელი სტუდენტების მომართვებს, ფსიქოლოგიის პროგრამასთან დაკავშირებით. ხოლო, ინტერნაციონალიზაციის ხარჯებში იგულისხმება გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობა, ასევე პერსონალის განვითარება, რაც გულისხმობს სხვადასხვა კონფერენციებში მათ მონაწილეობას და ხელშეწყობას, ასევე მათ გადამზადებას სწავლის მეთოდების კუთხით და ა.შ. აღნიშნული საკითხები სტრატეგიის სახით არის გაწერილი. სწავლის შედეგების განსხვავებაზე, ქართულ და ინგლისურ პროგრამებში, ზოგ შემთვევაში შეიძლება იყოს იშვიათი გამონაკლისი მექანიკური და ადვილად გასწორებადი. შინაარსობრივად არ არის აცდენა, თუმცა შესაძლებელია იყოს თარგმანის პრობლემა და ქართული ტერმინოლოგით ზუსტად არ იქნა წარამოდგენილი. აღნიშნულთან და კაავშირებით ეკატერინე ნაცვლიშვილმა დაამატა, რომ სწავლის შედეგები განსხვავებულია რაოდნობრივადაც. რაზეც დაწესებულების

წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ტექნიკური ხარვეზია. ხოლო რაც შეეხება საკითხს თუ ვისზეა გათვლილი პროგრამა, მან აღნიშნა, რომ პროგრამა გათვლილია უცხოელ სტუდენტებზე, თუმცა ასევე ქართველ სტუდენტებს ექნებათ სწავლის შესაძლებლობა. აღნიშნულ პროგრამაზე უკვე არიან მსურველები, წარმოდგენილია რამდენიმე კანდიდატის დოსიე საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტში და ამ მიმართულებით გრძელდება ასევე მუშაობა. ასევე მოწვეული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობასთან დაკავშრებით, კანონმდებლობით არ არის დადგენილი თანაფარდობის ზღვარი, მაგრამ ინსტიტუციას შემუშებული აქვს ზღვრული თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეული პერსონალს შორის. მოთხოვნებთან შედარებით ბევრად უკეთესი მაჩვენებელი აქვს პროგრამას. გარდა ამისა გაწერილია გასაუმჯობესებელ მხარეებში, რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს გაუმჯობესებას და იგეგმება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რამდენიმე დოქტორანტი არის წრამოდგენილი პროგრამაშ, რომლებიც ამ წლის შემოდგომის სემესტრზე დაიცავენ დისერტაციას და იგეგმება კონკურსის გამოცხადება, რათა მათ შეძლონ მონაწილეობის მირება. ასევე აქტიურია პოლიტიკა აკადემიური პერსონალის აფილირების კუთხით.
დაწესებულების წარმომადგენელმა მაია მაჭავარიანმა, გარემოს და დიზაინის ფსიქოლოგიის სილაბუსთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ სილაბუსის მიხევით ეს არის თეორიული კურსი, თუმცა განსაზღვრულია ასევე პრეზენტაციული ნაწილი, წერითი გამოკითხვა და ა.შ აღნიშნულზე, სხდომის თავმჯდომარემ დაამატა, საგანი საკმაოდ სფეციფიურია და ისეთი საკითებია განსაზღვრული, როგორიც არის არქიტექტურული ფორმის აღქმა, ლანდშაფტის სახეობების აღქმა და ა.შ, აღნიშნულ საკითებზე თავად არქიტექტორები მუშაობენ და არიან არქიტექტორები, რომლებიც წერენ ამის თაობაზე და აპროექტებენ სწორედ ისე რომ ფქსიქო ემოციური გავლენა მოახდინონ ადამიანზე. აქედან გამომდინარე რჩევის სახით განუმარტა დაწესებეულებას, რომ ლიტერატურა რომელიც არის ჩამონათვალში ნამვილად არ არის საკმარისი სრულფასოვანი შედეგისათვის. არსებობს როგორც ქართველი ასევე ამერიკელი არქიტექტორების დაწერილი წიგნები, რომლებიც შეეხეაბ პოსტ-მოდერნისტულ სივრცეს, სადაც ხაზგასმულია სწორედ ეს ფსიქოემოციური ზეგავლენები ურბანული გარემოსი. თუმცა ეს აკადემიური თავისუფლებაა და ლექტორმა თავად შეიძლება განსაზღვროს სილაბუსის საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:29
დასრულების დრო: 17:48

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაშპს კავკასიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინჭების საკითხი, ერთი წელში ანგარიშის წარდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად

2. პროგრამაში ჩართული ფსიქოლოგის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური (აფილირებული) პერსონალის რაოდენობის გაზრდა;
3. პროგრამაში განხორციელებაში ფსიქოლოგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მეტი სპეციალისტის ჩართვა
1. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომეპტენციის მეტად შესაბამისობაში მოყვანა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, პროგრამაში შესასრულებელ ფუნქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

1. **1.** სასურველია სილაბუსებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები.
2. **2.** სასურველია სასწავლო კურსში „გარემოს და დიზაინის ფსიქოლოგია“ გადაიხედოს ლიტერატურა.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეხუთე საკითხი: . სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა/ MA Security Studies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	უსაფრთხოების კვლევები 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ცხინვალის გზატკეცილი მესამე კილომეტრი,გორი,1400,საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

18:10 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი. აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გვანცა აბდალაძემ აღნიშნა, რომ 14 რეკომენდაციიდან 7 დაკავშირებულია, სასწავლო კურსების 12 სილაბუსებთან, აღწერაში დეტალურად არის გაწერილი რას შეეხება რეკომენდაციები, მან ასევე აღნიშნა, რომ მარტივი პროცედურებით არის შესაძლებელი აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება. რეკომენდაციები, ასევე შეეხებოდა პროგრამის შედეგების დადასტურებასა და პროგრამის სტრუქტურას. აღნიშნული პროგრამის დამკვეთი, დამფინანსებელი და სავარაუდოდ დამსაქმებელი თავად სახელმწიფოა, თავდაცვის სამინისტროს სახით. სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენილი მიზნები ამბიციური

და მისასალმებელია, საუბარია თანამედროვე ინოვაციური მეთოდებით ცოდნის გადაცემაზე, ანალიტიკოსების მომზადებაზე, უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვაზე, ფუნდამენტური დოკუმენტების შემუშავებასა და ა.შ. პროგრამაში შედეგები დაყოფილია 3 ნაწილად: ცოდნა, გაცნობიერება, უნარები პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა; გაწერილი უნარები შესაბამისობაშია მიზანთან. სწავლის შედეგებიში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, უნდა მოხდეს სწავლება-სწავლის მეთოდების და შეფასების კომპონენტების გამრავალფეროვნება და შესაბამისი ფორმულირება. აქცენტი გაკეთებულია იმაზე რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს, რეკომენდაციების წარდგენა უსაფრთხოების სფეროში, სტრატეგიული დოკუმენტების და კონცეფციების შემუშავებაში მონაწილეობა, კრიზისების დაძლევა და ა.შ შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა, საჭიროებს ცვლილებებს იმისათვის რომ დაადასტუროს აღნიშნულ შედეგებზე გასვლა, მაგალითად ერთერთი რეკომენდაცია ეხება ახალი სასწავლო კურსის შემუშავებას, რომელიც უფრო მეტად გამოუმუშავებს მაგისტრანტს პრაქტიკულ უნარჩვევევბს, ასევე სასწავლო კურსში დაემატოს მეთოდები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი იმუშავებს აღნიშნულ დოკუმენტების დაწერაზე, თუკი ეს არის პროგრამის მიზანი და გაწერილი შედეგი. მიზნები, შედეგები და მათ შორის ავტონომიურობა და პასუხისმგებლობაზე, პროგრამა არ ითვალისწნებს პროფესიულ პრაქტიკას, რადგან პროგრამაში გათვალისწინებული ყველა პრაქტიკა სამხედრო ხასიათისაა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ასევე კვლევით ელემენტს, 30 კრედიტიან სამაგისტრო ნაშრომს, თუმცა ბალანსი რომ შედგეს მიზნებს, შედეგებსა და პროგრამის სტრუქტურაში, საჭიროა სტრუქტურული ცვლილებების შეტანა. გარდა ამისა არის მარტივად გასასწორებელი სტრუქტურული ცვლილებების მოთხოვნა, მაგალითად საგნების ცვლილება არჩევითიდან სავალდებულოში და მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე სილაბუსების ადგილმონაცვლეობა იმისათვის, რომ სტუდენტმა ჯერ მიიღოს ზოგადი თეორიული ცოდნის სასწავლო კურსები და შემდგომ გადავიდეს კონკრეტული ქეისების განხილვაზე. მან ასევე, აღნიშნა ერთ-ერთი რჩევა, რომ მისასალმებელია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების საკონტაქტო/არასაკონტაქტო საათების, ასევე ლექცია/სემინარების თანაფარდობის არაუნიფიცირებული სახე, თუმცა სასურველია აღნიშნული თანაფარდობის დადგენა მოხდეს უპირველეს ყოვლისა სასწავლო კურსის საჭიროებიდან გამომდინარე, მაგალითად ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ სილაბუსში, სადაც 33 საკონტაქტო საათია, მხოლოდ 3 საათია სემინარისტის განკუთვნილი, მაშინ როდესაც შეფასების კომპონენტში მრავალფეროვანი რუბრიკებია გაწერილი. აქედან გამომდინარე, არაუნიფიცირებული სახე კარგია თუმცა უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის შინაარს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით რაზმაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა მნიშვნელოვანი და უნიკალურია, სფეციფიკიდან გამომინდარე. სტრატეგიული სწავლება „დიდგორი“, რომელიც ბოლო 10 წელია ხორციელდება, აღნიშნული სწავლების ანალიზის შედეგად, მომზადდა დასკვნა, სადაც ნათლად ჩანდა, რომ არსებობს დეფიციტი პერსონალის, დაგეგმარების და ერთიანი სტანდარტის მიმართულებით, ეს შეეხება უსაფრთხოების კვლევებს. აღნიშნული კვლევების შემდგომ იყო ასევე ერთ-ერთი პროგრამის დაკვეთა, როგორიც არის „სახელმწიფო რესურსების მართვა“, აქედან გამომდინარე, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გასცა დავალება აღნიშნული პროგრამის ჩამოყალიბების შესახებ.

რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მოსაზრებებზე ისაუბრა მარიამ ღამბაშიძემ და აღნიშნა, რომ არის რიგი რეკომენდაციები, რომელსაც არ ეთანხმება დაწესებულება. პირველ რიგში ეს შეეხება პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტს. დასკვნის პირველ ვერსიაში იყო ჩანაწერი, რომ პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის კომპონენტში უნდა იყოს უნარების ნაწილში გაწერილი სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო აპელირებას

აკეთებს სასწავლო ან სამუშაო გარემოში პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის კომპონენტის ჩამოყალიბებას. ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში გაწერილი პროგრამები, სასწავლო გარემოში მუშავდება პასუხისმგებლობა ავტონომიურობის კომპონენტი, რაც კვეთაშია უნარების კომპონენტთან. როდესაც ცალკე არის გაწერილი პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის კომპონენტი სამუშაო გარემოზე ამაზე არ აპელირებს დაწესებულება. გარდა ამისა, მან ასევე განმარტა სწავლა სწავლების და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით, რომ პროგრამის რუკებში, საკმაოდ მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი აღნიშნული მეთოდები და ასევე ტერმინი „მრავალფეროვნების“ აბსტრაქტულობიდან გამომდინარე, ამიტომ განსხვავებულია მიდგომა დაწესებულებების მხრიდანაც. ასევე პროგრამის ჩამოყალიბება და განვითარება არის ცოცხალი პროცესი და შესაძლებელია სწავლის შედეგების მოდიფიცირება შინაარსის შესაბამისად. რეკომენდაციები რომელიც მარტივად დაძლევადია, ამიტომ გაუგებარია დაწესებულებისთვის, თუ აღნიშნული რეკომენდაციებით გათვალისწინებული საკითხები მარტივად დაძლევადია რატომ არის შეფასებული როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში და არა მეტწილ შესაბამისობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზურაბ აგლაძემ დაამატა, რომ პროგრამა სპეციფიურია და მონაწილეობას იღებენ მაიორები და მაღალი რანგის თანამშრომლები. პროგრამა შემუშავდა იქიდან გამომდინარე თუ რა განათლება და უნარები აქვთ დაინტერესებულ აპლიკანტებს. იმისათვის, რომ მაიორის წოდება მოიპოვოს პირმა, უნდა დაამთავროს სამეთაურო საშტაბო კოლეჯი, კაპიტნის კურსი და ძირითადი კურსი. მინიმუმ სამი ატესტაცია უნდა გაიაროს პირმა. ხოლო ადამიანი, რომელიც მოდის აღნიშნულ პროგრამაზე ისეთი საკითხები, როგორიც არის სტრატეგიული დოკუმენტების ცოდნა დაგეგმარება და მსგავსი საკითხები უკვე გავლილი აქვს. რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, არ იზიარებს ინსტიტუცია, რადგან პროგრამაშ პირდაპირ არის გაწერილი „შავი ზღვის რეგიონის უსაფრხთოების“ სილაბუსი, სადაც მთლიანად სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის რეგიონია მოცული. ასევე დაწესებულება არ იზიარებს იმას, რომ პროგრამაში უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის სილაბუსი, ინსტიტუციისათვის გაუგებარია რაზე დაყრდნობით გაიწერა ეს რეკომენდაცია დასკვნაში. აგრეთვე, მე-3 კომპონენტთან დაკავშირებით, სამაგისტრო პროგრამის ავტონომიურობასა და კომპეტენიცებთან დაკავშრებით, დაწესებულებამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარადგინა,სადაც განსაზღვრულია მე-2 და მე-3 სემესტრის ბოლოს პრაქტიკული სავარჯიშოების განხორციელდება, რომელიც მოიცავს არამხოლოდ უსაფრთხოების სწავლებას, აგრეთვე ორ სხვა მიმართულებასაც.გარდა ამისა იუნკერები, სწავლების განმავლობაში მიიღებენ უწყებათაშორის ყველაზე მაშტაბურ სწავლებაში „დიდგორში“ მონაწილეობას და იქ შეასრულებენ „სტაფერების“ როლს, რომლის ფუნქციაა კრიზისების პერიოდშ ისხვადასხვა სამოქმედო გეგმების სტრატეგიების შემუშავება და ა.შ. ასეთივეა უსაფრთხოების არქიტექტურის სილაბუსი, სადაც სრულად თითქმის ყველა ლექცია მოიცავს პრაქტიკულ ნაწილს. მიუხედავად იმისა რომ პრაქტიკული ნაწილი არ ფასდება წარმოდგენილია, როგორც განმავითარებელი. რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, სილაბუსის სრულფასოვნება არ არის დამოკიდებული ინტერნეტ ბმულებზე, თუმცა არის სილაბუსები რომელიც მოითხოვს უახლესი ინფორმაციის დამატებას მაგალითად „შავი ზღვის რეგიონი“, სადაც 1 წლის წინ სხვა ვითარება იყო და ახლა სხვა ვითარებაა, შესაბამისად მისი განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია. აკრედიტაციის გავლის შემდეგ დაწესებულებას შეუძლია მიუთითოს ახალი ინტერნეტ ბმულები და ახალი ინფორმაცია დაამატოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წარმომადგენელმა, ნიკა თიკანაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ 1-ლი, მე-2 და მე-5 სტანდარტები ყოველთვის ლოგიკურ კავშირშია ერთმანეთთან, თუ საუბარია სწავლების მეთოდოლოგიაზე ხარისხის მექანიზმებიდან გამომდინარე დგება ეს ყველაფერი და პროგრამის შინაარსთან, სწავლის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან კავშირშია. რით არის განპირობებული ის, რომ მე-2 სტანდარტი არის ნაწილობრივ

შესაბამისობაში, ხოლო 1-ლი და მე-5 სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია. ასევე სასწავლო კურსებთან დაკავშირებული საკითხები, გამომდინარე იქიდან რომ პროგრამა ახალია, რა პერიოდი და დრო სჭირდება პროგრამას ხარვეზების გამოსასწორებლად, დოკუმენტალურ ნაწილში? ასევე როგორია ინსტიტუციის პოზიცია საერთაშორისო ჩართულობის კუთხით, რომელი ქვეყნის საერთაშორისო პროგრამები გაითვალისწინა დაწესებულებამ აღნიშნულ პროგრამაში?

საბჭოს წევრმა ნინო ჭალაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, რომ დამატებით დოკუმენტაციაში არის საქაღალდე, სადაც უნდა იყოს ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთან ურთიერთობა, თუმცა არცერთი კონსოლიდირებული დოკუმენტი არ არის ამასთან დაკავშირებით. ასევე არის თუ არა სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი, საინტერესო იქნებოდა დაწესებულების მიერ უცხოური უნივერსიტეტების პროგრამის გამოცდილების გაზიარება. ასევე საინტერესო იქნებოდა დაწესებულების საერთაშორისო კვლევის კონტრიბუცია.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, მე-6 და მე-7 რჩევასთან დაკავშირებით. ვინაიდან მინისტრის მე-3 ბრძანება ამბობს, რომ (FX)-ის შემთხვევაში სტუდენტი უფლემაბოსილია ერთი სემესტრის განმავლობაში მოახდინოს გადაბარება, ხოლო (F)-ის შემთხვევაში იგივე ნაშრომს არ წარადგენს, მაგრამ რეალურად არ ხდება სტუდენტის გარიცხვა, არამედ შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტზე მუშაობა, აქედან გამომდინარე რა პრაქტიკაა ინსტიტუციაში და რატომ არის აღნიშნული რჩევა და არა რეკომენდაცია? ასევეა, მე-7 რჩევა, რომ სასურველია, პროგრამას დაემატოს სავალდებულო ან დარგის სასწავლო კურსების წამკითხავი სადოქტორო ხარისხის მქონე ან დოქტორანტი ლექტორები, რაც გააძლიერებს სამაგისტრო პროგრამას. ამასთან დაკავშირებითაც, რატომ ფიქრობს ექსპერტთა ჯგუფი, რომ რეკომენდაციაა და არა რჩევა?

საბჭოს წევრმა თეონა მატარაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, კვლევის კომპონენტთან დაკავშირებით და აღნიშნა რომ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, რომ შეუძლებელია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა კონკრეტული სილაბუსით დაიფაროს, ხომ არ ფიქრობს ექსპერტთა ჯგუფი, რომ არარელევანტურია ამ მიმართულებით სამაგისტრო საფეხურის სტუდენტისათვის რაოდენობრივი კვლევის ამოღება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, რაოდენობრივი კვლევის კუთხით პროგრამა ვერ გავა შედეგზე. ასევე, კვალიფიკაციას სტუდენტები იღებენ 03/12 ში, რომელიც არის სოციალური მეცნიერებები და პოლიტიკის მიმართულება, შესაბამისად კვლევითი კომპონენტის გაძლიერება ძალიან მნიშვნელოვანია, საბჭოს წევრმა ასევე დასვა კითხვა, შესაძლებელია აღნიშნული პროფილის უნივერსიტეტში სოლიდური გამოცდილება აქვთ მაგისტრანტებს, მაგრამ როდესაც სოციალურ მეცნიერებში იღებენ კვალიფიკაციას, რამდენად არის საკმარისი მოთხოვნები რომელიც არის გაწერილი რჩევაში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ წარმოდგენილ ეკონომიკურ უსაფრთოებასთან დაკავშრებით წარმოდგენილი მხოლოდ ერთი სილაბუსი ცოტაა, რადგან არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითები, როგორიც არის სასურსათო უსაფრთოების, სავალუტო და ფინასნური უსაფრთოების საკითხები, ხომ არ ფიქრობს ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმას დაწესებულებას, ან მომავალში ცალკე კონცენტრაციის შექმნას ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, კითხვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილში, აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ ინდივიდუალური სწავლისა და გუნდური მუშაობის უნარზე, რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით არ კმარა სამაგისტრო პროგრამისათვის. შესაძლებელი იყო უკეთესი ფორმულირება და კვლევის უნარების უკეთ

წარმოჩენა. რაც შეეხება აქცენტს რეგიონალურ სამართალზე, საკითხზე თავად აქვთ გაწერილი შედეგებში, შესაბამისად დასახული მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე გაიწერა რეკომენდაციაც, რომ საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით უნდა მოახდინონ ანალიტიკა. დაწესებულებას აქვს შესაბამისი სილაბუსები თუმცა არჩევითია და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით უნდა გადმოვიდეს სავალდებულო კურსებში. შავ ზღვასთან დაკავშირებით არის ერთადერთი სილაბუსი რომლის ძირითადი ნაწილი ისტორიული ხასიათისაა და შავი ზღვის უსაფრთხოების მიმდინარე პროცესებს ნაკლებად მოიცავს. სფეციკიდან გამომდინარე ასევე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის საკითხი, გამყარებულია შიდა რეგულაციებით, აქედან გამომდინარე უფრო მეტად არის ავტორიზაციის კომპეტენციაა. არნიშნულ პროგრამაზე სწავლა უფასოა, შესაბამისად სახელმწიფო არ აძლევთ მათ უფლებას ჩაჭრის შემთხვევაში კიდე მიიღონ ბენეფიტები. რაც შეეხება წინაპირობის ტესტის გამკაცრებას, ამ საკითხში სილაბუსების შინაარსთან დაკავშირებით განსაზღვრული შენიშვნები, მათ შორის საბაკალავრო დონის დარგის შესავალისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებია გამოყენებული და ინტერვიუირების დროს აღინიშნა, ეს არის საჭირო იმისათვის, რომ სტუდენტს, რომელიც მოდის აღნიშნულ პროგრამაზე უჭირს დაძლიოს მასალა, ამიტომ სთავაზობენ უფრო მარტივი დონიდან დაწყებას. სამაგისტრო დონის სილაბუსებს უნდა ჰქონდეთ სამაგისტრო დონის მასალა და თუ არსებობს დაძლევის პრობლემა, უნდა გამკაცრდეს მიღების წინაპირობები. რაც შეეხება პირველ, მეორე და მეხუთე სტანდარტების ლოგიკურ ბმას, მეორე სტანდარტში შეფასების დაწევა გამოიწვია სილაბუსებთან დაკავშირებულმა საკითხებმა. ხარვეზების გამოსწორებას სავარაუდოდ დასჭირდება 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი პოზიტიურად არის განწყობილი თავდაცვის აკადემიაში სამოქალაქო პროგრამების შედგენასთან და ამით, ქვეყნისათვის კარგი ანალიტიკოსების მომზადებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა, ნინო ფავლენიშვილმა კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით დაამატა, რომ ეთანხმება საბჭოს მოსაზრებას. ერთი კურსის ფარგლებში სტატისტიკის და თვისობრივი კვლევის სწავლება წარმოუდგენელია, თუმცა კურსზე არის საგანი „აკადემიური წერა“, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეთავაზება იყო, რომ აღნიშნულ საგანში შესულიყო თვისებრივი კვლევის კომპონენტები, რაც მოაცილებდა კვლევის მეთოდებს თვისებრივი ტექნიკების ნაწილს, ამით უფრო მეტი სალექციო კურსები დარჩებოდა სტატისტიკას. ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა რომ თუ მოხდება „აკადემიური წერის“ უფრო მეტად ორიენტირება სამაგისტრო ნაშრომზე, რაც ფაქტიურად გახდის აკადემიური წერის კურსს, როგორც კვლევის დიზაინთან მიახლოებულ კურსს, მაშინ შესაძლებელი იქნება, რომ დაიტვირთოს კურსი რაოდენობრივი კვლევით და თვისებრივიდან შეიტანოს გამოკითხვის მეთოდი, რომელსაც მიებმევა რაოდენობრივ ტექნიკას და შესაბამისად შეძლებს რაოდენობრივი მეთოდის სხვა მახასიათებლების გამოყენებას. ორი კურსის შეთანხებული, შეწყვილებული სწავლება მოიტანს შედეგს. ასევე, ავტონომიურობასთან დაკავშირებით, საგნები, რომელმაც სტუდენტი უნდა გაიყვანოს ავტონომიურობაზე და დამოუკიდებლობაზე, სწორედ ასეთი საგნებია აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები და სამაგისტრო ნაშრომზე შრომა. სილაბუსში არ არის მითითებული რომ კვლევების კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს ასწავლოს დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა. კვლევის მეთოდებში სასურველია ფინალური გამოცდა იყოს კვლევის ფორმატის, რომელიც აკადემიურ წერასთან ერთად შეძლებს დადოს იმ ფორმატის ნაშრომი, რომელიც ფაქტიურად იქნება „პროსპექტუსი“ სამაგისტროსთვის. სტუდენტებს შეეძლებათ კოლაბორაციაში შევიდნენ ძირითადი საგნის პედაგოგებთან, რომლებიც მათ დააკვალიანებენ თემების არჩევანში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ღამბაშიძემ დასმულ შეკითხვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევასთან დაკავშრებით, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი, მე-15 დანართის სახით, სადაც განხილულია, როგორც საქართველოში არსებული დაწესებულებების (ღია უნივერსიტეტი და საქართველოს უნივერსიტეტი), ასევე

საზღვარგარეთის დაწესებულებების (ვებსტერის უნივერსიტეტი, ლონდონის უნივერსიტეტი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი) პროგრამების მიმოხილვა. დამატებითი დოკუმენტების შესახებ შეკითხვასთან დაკავშირებით, მან ასევე განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტები ერთ საქაღალდეშია მოქცეული, სადაც არის ირინა აბულაძის წერილი, საქართველო მთავრობის ადმინისტრაციის წერილი, შეხვედრების ოქმები. აღნიშნული საკითხი სისტემურად არის დალაგებული. სწავლის შედეგებში მოხსენიებულ სამართალთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის ბრძანების გამოცემის შემდგომ, 5 სამუშაო დღის ვადაში განახლებული დოკუმენტაცია, განახლებული პროგრამა წარედგინა ცენტრს, სადაც სწავლის შედეგებში საერთოდ არ წერია საერთაშორისო სამართალი, შესაბამისად ამიტომ არ იზიარებს ექსპერტთა მოსაზრებებს ამასთან დაკავშირებით დაწესებულება. ასევე 6 თვე დიდი დროა იმისათვის, რომ მინიმალური ხარვეზები აღმოიფხვრას, რადგან უფრო ადრე არის შესაძლებელი ხარვეზები აღმოიფხვრა. დამოუკიდებლობის კომპონენტთან დაკავშირებით, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მიზანში წერია, რომ დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის უნარის გამომუშავებას ადგენს სილაბუსი. ასევე, კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარადგინა განახლებული სილაბუსი ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებით, რომელიც უშუალოდ ექსპერტთა ვიზიტის დროსვე გამოსწორდა, გარდა ამისა გასაუბრებაზე აღნიშნა, რომ არის დამატებითი მოდულები გაწერილი, როგორც აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად - ეფექტური სწავლების მოდული, ასევეა გაწერილი კვლევის მეთოდებისათვის, იმ შემთვევაში თუ სტუდენტს ესაჭიროება თვისობრივი თუ რაოდენობრივი კვლევის მიმართულებით კომპეტენციის ამაღლება, ამ შემთხვევაში ხდება ამ მოდულის განხორციელბის უზრუნველყოფა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზურაბ აგლაძემ, ასევე დაამატა, რომ პროგრამაში საერთოდ არ არის ნახსენები საერთაშორისო სამართალი. ასევე რეგიონალურთან დაკავშირებით პროგრამაში განსაზღვრულია ცალკე სილაბუსი „შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება“ და დაწესებულებისათვის გაუგებარია, რატომ არ არის აღნშნული საგანი საკმარისი ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რადგან სილაბუსი მოიცავს სამხრეთ კავკასიას და მთლიანად შავი ზღვის რეგიონს. რაც შეეხება, სამიზნე ნიშნულებს დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „ამერიკული ენდიუსი“ ნაციონალური თავდაცვის უნივერსიტეტის პერსონალის ანალიზით, წარმოდგენილია ასევე შესაბამისი წერილი. გარდა ამისა ბენჩმარკინგი, რეგიონულ კონტექსტში განათლების სარდლობას აქვს შეფასებული აღნიშნული პროგრამა, ასევე საქართველო სუნივესტიეტს და თავდაცვის აკადემიის სამხედრო განათლების და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტს.

საბჭოს წევრმა ნინო ჭალაღანიძემ აღნიშნულთან დაკავშირებით დაამატა, რომ ნახსენებ მე-15 საქაღალდის დოკუმენტაცია უფრო მეტად გავს ბენჩმარკინგს ვიდრე ის, რაც წარმოდგენილია ბაზრის კვლევის ნაწილში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გარდა Erasmus + , გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება თავდაცვის სამინისტრო სტრუქტურული ერთეულია, ხოლო თავდაცვის სამინისტროს აქვს, როგორც ყოველწლიური ასევე მრავალწლიური თანამშრომლობის ფორმატები სხვადასხვა ქვეყნებთან, ასევე არის ნატოსთან სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ღიაა ან დახურული კონკურსების საშუალებით. დაწესებულებამ, ასევე დაიწყო ახალი წარმატებული პროექტი იტალიის წარმომადგენლებთან ერთად. რაც შეეხება ეკონომიკის უსაფრთხოებას, სახელმწიფო რესურსების მართვა ასევე ანალიზის შედეგად არის ის ხარვეზი, რაც დაინახა დაწესებულებამ სწავლებების პროცესის ანალიზისას, ამიტომ შემუშავდა ცალკე სამაგისტრო პროგრამა „სახელმწიფო რესურსების მართვა“.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ღამბაშიძემ ასევე დაამატა, რომ არალოგიკური იყო ბმა პირველ, მეორე და მეხუთე სტანდარტებთან. მეორე სტანდარტი რჩება ნაწილობრივ შესაბამისობაში, როდესაც პირველი და მეხუთე სრულ შესაბამისობაშია.

საბჭოს წევრმა თეონა მატარიძემ, ასევე განმარტა, რომ საერთაშორიოს სამართლის შედეგებში ნამდვილად არის გაწერილი, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მონაწილეობას იღებს ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოების სექტორის უწყვეტობის, სტრატეგიის და კონცეფციის შემუშავებაში. ასევე მეორე კვლევით კომპონენტზე - სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა, ისე რომ სტუდენტს მცირედი კვლევითი კომპონენტი არ განუხორციელებია, თუნდაც დიზაინი არ შეუქმნია იქნება ძალიან დიდი გამოწვევა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ასევე დაამატა, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებულ ვერსიაში, თუნდაც იყოს ტექნიკური შეცდომა, საერთაშორისო სამართალის სწავლებაზე და იქნება თუ არა ეს განსაზღვრული უნარებში არ უნდა იყოს მსჯელობა, როდესაც უსაფრთოების დოკუმენტების ანალიტიკოსის მომზადებაზეა საუბარი. რაც შეეხება ლოგიკურ ბმას სტანდარტებს შორის, უმჯობესი იქნებოდა პირველი სტანდარტიც ყოფილიყო მეტწილი,რადგან მთავარი ხარვეზი მიბმულია ასევე მიზნებზე.

საბჭოს წევრმა ნიკა თინიკაშვილმა აღნიშნულზე განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, რადგან პირველ სტანდარტში არის მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, აქედან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ, რაოდენობრი და თვისებრივი მონაცემებიდან გამომდინარე და არა იმიტომ რომ ნაწილობრივია თუ მეტწილი შესაბამისობა.
18:52 საათზე, საბჭო დატოვა ელიზბარ ელიზბარაშვილმა.
18:54 საათზე, საბჭო დატოვა გაიანე სიმონიამ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:05
დასრულების დრო: 19:57

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

საბჭოსგადაწყვეტილებითკომპონენტებისშესაბამისობააკრედიტაციისსტანდარტებთანგანისაზღვრაშემდეგნაირად:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული შეფასება, კერძოდ 2.4, 4.1, 4,2, 5.1 კომპონენტები და მე-4 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორ „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“. 1.2 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ხოლო 2.2, 2.3 კომპონენტი და მე-2 სტანდარტი ნაცვლად ,, ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან'' განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“ .

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1.საერთაშორისო სამართლის და რეგიონული უსაფრთხოების, ასევე სტრატეგიული მართვის საკითხები გათავლისწინებულ იქნეს სასაწავლო პროგრამაში.
2. უნდა გასწორდეს პროგრამის სტრუქტურა: ზოგადი თეორიული სასწავლო კურსები წინ უნდა უძღოდეს ქვეყნის/რეგიონის უსაფრთხოების შემსწავლელ სასწავლო კურსებს.
3. უნდა განხორციელდეს სტრუქტურული ცვლილებები შემდეგ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში: „დაზვერვის საფუძვლები“, „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“, „სტრატეგიის საფუძვლები“, „ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა“, „სახელმწიფოს უსაფრთხოება“, „აკადემიური წერა“, „კვლევის მეთოდები“, „საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციების ანალიზი“, „ცივი ომი“.
4. უნდა მოხდეს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გამართვა ლიტერატურის მითითების აკადემიური წესის დაცვით.
5. სასწავლო კურსი „შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება“ შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან.
6. სავალდებულო სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებაზე; ფინალური თეორიული გამოცდა ჩანაცვლდეს დამოუკიდებელი მინი კვლევითი ნაშრომით ან კვლევის გეგმით.
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში გადაიხედოს სწავლება/სწავლის მეთოდები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სწავლის შედეგებთან.
8. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავებულ იქნეს ერთმანეთისგან განსხვავებული კრიტერიუმები, რუბრიკები და შეფასების მეთოდები
9. სასწავლო-კურსების „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა“ და „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის“ სილაბუსებში შეფასების რუბრიკები შესაბამისობაში მოვიდეს კურსების შეფასების სისტემასთან.
10. სავალდებულო სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებაზე; ფინალური თეორიული გამოცდა ჩანაცვლდეს დამოუკიდებელი მინი კვლევითი ნაშრომით ან კვლევის გეგმით.
11. რეკომენდებულია აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სტუდენტებს ჰქონდეთ დოკუმენტურად დადასტურებული შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში საჭიროების შემთხვევაში ჰყავდეს ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი.
12. რეკომენდირებულია პროგრამას დაემატოს სავალდებულო ან დარგის სასწავლო კურსების წამყვანი სადოქტორო ხარისხის მქონე პერსონალი.
13. რეკომენდირებულია უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამაში ჩართულ პერსონალს ჩაუტაროს დამატებითი ტრენინგი სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით.
14. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები

1.რეკომენდებულია შეიცვალოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილის ფორმულირება.
2. სასურველია პროგრამის მიზნების ფორმულირების რედაქტირება, მიზნების შინაარსობრივი დაყოფა პროგრამის სასწავლო მიზნების უფრო ნათლად აღსაქმელად.
3. სასურველია სასწავლო პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ასახვა.
4. სასურველია სპეციალობის მისაღები საგამოცდო ტესტის შედგენის პროცესში გათვალისწინებულ იქნას, რომ ტესტი ასახავდეს პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრული

სასწავლო კურსების დაძლევისთვის აუცილებელ დარგობრივ ცოდნას და კვლევით უნარებს, სასურველია ტესტისთვის მომზადების ინსტრუქცია და ტესტის შეფასების კრიტერიუმები გაიწეროს დეტალურად და იყოს წვდომადი ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

5. სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული არც ერთი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსი არ ითვალისწინებს სასწავლო პროგრამის აქტუალურობის ნაწილში ხაზგასმული უწყებათა კოორდინირებული მუშაობით კრიზისზე რეაგირების უნარის გამომუშავებას. სასურველია, პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსის სახით შესაბამისი სასწავლო კურსი და/ან არსებული/სამომავლო მემორანდუმების საფუძველზე მოხდეს მოკლევადიანი პრაქტიკის დაგეგმვა, როგორც კურიკულუმის ნაწილი, ან კურიკულუმს მიღმა აქტივობა.

6. მისასალმებელია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების საკონტაქტო/არასაკონტაქტო საათების, ასევე ლექცია/სემინარების თანაფარდობის არაუნიფიცირებული სახე, თუმცა სასურველია აღნიშნული თანაფარდობის დადგენა მოხდეს უპირველეს ყოვლისა სასწავლო კურსის საჭიროებიდან გამომდინარე.

7. სასურველია საბიბლიოთეკო რესურსების მენეჯმენტის გაუმჯობესება: ~~ონლაინ~~ ელექტრონული კატალოგის შექმნა, ელ-ბაზების გამრავალფეროვნება/გაფართოება, სტუდენტების წახალისება გამოიყენონ Evergreen შესაძლებლობები, აკადემიურ ელ-ბაზებზე დისტანციურ რეჟიმში წვდომა ონლაინ სწავლების პირობებში.

8. სასურველი იქნებოდა, გამოყენებული ყოფილიყო უსდ-ს საერთაშორისო კავშირები და მომხდარიყო გარე შეფასება უცხოელი სამოქალაქო აკადემიური სფეროს ექსპერტის მიერ.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის # 15 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. 1 68, ქ. თბილისი, სასწავლო კორპუსი 1, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს დავით კაპანაძემ და ნინო იმნაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

20:07 საათზე, საბჭო დატოვა დავით კაპანაძემ.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ 26 აპრილს განხორციელდა ვიზიტი,რომლის ფარგლებშიც შემოწმდა, „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის“ საბაკალავრო პროგრამა, რომელიც იყო პირობით აკრედიტებული ორი წლის ვადით, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმების შედეგად შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას 508 სტუდენტი ყავს ამჟამად და ემსახურება 41 აკადემიური პერსონალი. პირობითი აკრედიტაციამდე პროგრამისთვის გაწერილ რეკომენდაციების აბსოლუტური უმრავლესობა შესრულებული იყო, თუმცა მიუხედავად ამისა იყო გარკვეული საკითხები რომელიც საჭიროებდა ახალი რეკომენდაციების გაწერას. რეკომენდაციები შეეხებოდა: სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობებს, სადაც მკვეთრად იყო გამოკვეთილი ერთგვარი აცდენები, კონკრეტულ საგნების სახელწოდებებსა და მის შინაარსთან თანაფარდობას, უცხო ენის სწავლებას, რადგან პროგრამაზე მიღება ხდება ნებისმიერი ენით, თუმცა პროგრამაში ლიტერატურა ინგლისურ ენაზე არის აგებული. აქვე აღსანიშნავია რომ ბიზნესის ენა ინგლისურია და სტუდენტს მოუწევს აუცილებლად ისწავლოს ის. ასევე იყო რეკომენდაციები პრაქტიკის კომპონენტთან, სილაბუსთან და საგნების გაერთიანებასთან მიმართებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გოდერძი ტყეშელაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი წარიმართა კარგად და ეფექტურად. რაც შეეხება წინაპირობებთან და სახელწოდებებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, დაწესებულება ითვალისწინებს. პროგრამა შეეხება ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციას და მართვას", რაც, მისი მიმართულებისა და სექტორის გათვალისწინებით წარმოადგენს, პირველ პრეცედენტს საქართველოში. სამეწარმეო ბიზნესი წარმოადგენს აუცილებლობას, როგორც ქვეყნისათვის, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე პროგრამის კურსდამთავრებულებთან კონკურენტ უნარიანობსათვის. შესაბამისად საგნების ძირითადი ნაწილი, სამეწარმეო მიმართულებითაა, როგორც მიზნის, ასევე მიზნის მიღწევის საშუალებების, შედეგების და თემატიკის მიხედვით. რაც შეეხება ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციას, ინგლისური ენის სწავლება სკოლებში სავალდებულო გახდა 2018 წლიდან, ხოლო კონტიგენტი, რომელიც მოდის აბიტურიენტების სახით, ნაწილს ამ კონტიგენტისა არ აქვს ინგლისურის შესაბამის ცოდნა, ამიტომ ინსტიტუციის პოზიცია ამ ეტაპზე ასეთია, რომ სტუდენტებს აქვთ უცხოენის არჩევის შესაძლებლობა. აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა ის, რომ უცხო ენისთვის განსაზღვრულია 20 კრედიტი და არ არის სავალდებულოდ განსაზღვრული ინგლისური ენა. ასევე პრაქტიკის წინაპირობებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, პროგრამაში ჩამოთვლილია რამდენიმე საგანი, რომელიც სრულად ასახავს სავალდებულო ცოდნას, რაც პრაქტიკის გავლის დროს მოეთხოვება სტუდენტს. რეკომენდირებული იყო, რომ ყველა სავალდებულო საგანი განისაზღვროს წინაპირობად, თუმცა ამ შემთხვევაში დაწესებულება ითვალისწინებს სტუდენტის პოზიციას და გაუთვალისწინებელ შემთხვევას და მაშინ, როდესაც სტუდენტს დარჩენილი აქვს გასავლელად სავალდებულო საგნები, მას დაწესებულება ხელს არ უშლის პრაქტიკის ანგარიშის მომზადებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში საკმაოდ აქტიურად არის წარმოდგენილი მეწარმეობა, რაშიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტიტუცია და როგორ აისახა ეს პროგრამაში?

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ დასკვნაში იგრძნობა ექსპერტთა ჯგუფის კეთილგანწყობა ინსტიტუციის მიმართ. ასევე დაამატა რომ არეულია დაშვების წინაპირობები, მაგალითად სასწავლო კურსის „საგარეო

ეკონომიკური კავშირების“ წინაპირობაა „კონტრაქტები და გადაზიდვები“. აუცილებლად გასაუმჯობესებელია ეს საკითხი. ასევე, გასაუმჯობესებელია სილაბუსების შინაარსობრივი გადაფარვები, მაგალითად „ინოვაციების მენეჯმენტი“ „ პროექტების მენეჯმენტი“ და „სამეწარმეო პრაქტიკა“, რომელიც რამოდენიმე სხვადასხვა კურსს კვეთს. ასევე, სილაბუსების სათაურები, როგორებიც არის მაგალითად „სამრეწველო და სატრანსპორტო ფირმის მარკეტინგი“, თუმცა სილაბუსი შინაარსობრივად მოიცავს მარკეტინგს. ასევე, „მათემატიკა ეკონომისტებისათვის“ პირველი და მეორე კურსები გადის იგივე სწავლის შედეგებზე იგივე დონით , რაც ასევე დასაზუსტებელია, ხოლო მესამე დონეზე განმტკიცება რა პრინციპით იქნა მინიჭებული? „ფირმის მენეჯმენტი 1“-ის მე-4 სწავლის შედეგი და „ფირმის მენეჯმენტი 2“ მე-2 სწავლის შედეგი იდენტურია, რაც ასევე გასასწორებელია. რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, პროგრამის წარმომადგენლებს შეუძლიათ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით საბჭოს წევრი თვლის, რომ პროგრამა მეტნაკლებად მდგრადია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას, ხომ არ არსებობს რამე პრინციპი ყველა სისტემაში შეფასების იდენტურობასთან დაკავშირებით, ყველა სილაბუსი გადის ერთი რაოდენობის სწავლის შედეგებზე და სილაბუსების ძირითად ნაწილში განსაზღვრულია რომ „უვითარებს ავტონომიურობის უნარს მათ შორის საკუთარი სწავლის დაგეგმვის“ როგორ ხორციელდება ეს? ასევე, შესაბამისობაშია მოსაყვანი სილაბუსების დასახელებები და შინაარსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გოდერძი ტყეშელაშვილმა უპასუხა შეკითხვებს და აღნიშნა, რომ დეპარტამენტი ჩართულია დიდი ბრიტანეთის საბჭოს პროექტში, მეწარმეობის სწავლების გაღრმავების შესახებ საქართველოში, აღნიშნული პროექტის ფარგლებში ლექტორები ჩართულები იყვნენ პროგრამის შექმნის პროცესში, პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა ინოვაცია გათვალისწინებულია სილაბუსებში და ასევე კიოლნის უნივერსიტეტიდან სარეკომენდაციო წერილი, რომლითაც იხელმძღვანელა პროგრამის შექმნისას დაწესებულებამ. დაწესებულების წარმომადგენელმა, ბორის გითოლენდიამ აღნიშნა, რომ პროექტი ახლაც მიმდინარეობს და პროექტის ფარგლებში გადამზადდა რამდენიმე პროფესორი, აკადემიური პერსონალი, რომელიც არის ავტორი რამდენმე სილაბუსის, მათ გაიარეს შესაბამისი მომზადება, ჩატარდა ასევე ტრენინგები, რაც აისახა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის გაძლიერებაში. ამ ეტაპზე დაწესებულება მუშაობს კილის უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ახალი სილაბუსი, რასთან დაკავშირებითაც სერიოზული რეკომენდაციებია თუმცა დროში ვერ მოესწრო ასახვა რადგან მეორე წლის პროექტი ითვალისწინებს მატერიალების თარგმნას ქართულ ენაზე, რომელიც საბოლოო შედეგი ისე აისახება და არის მოლოდინი რომ ადაპტირდება აღნიშნულ პროგრამაში. აღნიშნული პროექტების ფარგლებში ტარდება ტრენინგები, იდეების კონკურსები და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გოდერძი ტყეშელაშილმა აღნიშნა, რომ „საგარეო ეკონომიკური კავშირების“ წინაპირობა არის „საერთაშორისო კონტრაქტები და გადაზიდვები“ რასთან დაკავშირებით დაწესებულებამ მიიჩნია, რომ საგარეო ეკონომიკური კავშირების სრულყოფილად ათვისებამდე საჭირო იყო საერთშორისო კონტრაქტები და გადაზიდვების ფორმულირება სტუდენტებს შეესწავლათ. ინოვაციური მენეჯმენტი და პროექტების მენეჯმენტი, შინაარსობრივად ერთმანეთს ავსებენ, ინოვაციური მენეჯმენტი არის ინოვაციებზე მიმართული, როგორც კვლევები, ასევე საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური მომზადებები, რაც შეეხება სამეწარმეო სფეროს. ხოლო „პროექტების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსში, ზოგადი საუბარია მენეჯმენტზე ძირითადად გათვალისწინებულია ამერიკული სტანდარტი და ამის მიხედვით არის შედგენილი. ხოლო მათემატიკასთან დაკავშირებით, განსაზღვრულია საუნივერსიტეტო საგნები და იქიდან ხდება პროგრამისათვის სასწავლო კურის აღება, თუმცა

შესაძლებელი გაუმჯობესებას საჭიროებდეს. შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, შრომის ბაზარი გამოკვლეულია, როგორც ინდივიდუალური გამოკითხვების საშუალებით, ასევე ჩართული იყო ეკონომიკის სამინისტროს კვლევები. გარდა ამისა შრომის ბაზრის კვლევაში მონაწილეობას იღებენ კურსდამთავრებულები. რაც შეეხება ბიუჯეტს, ნამდვილად მდგრადია, დაწესებულებას აქვს იმის საშუალება ინექცია გააკეთოს სხვა სპეციალობებზე. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით დაწესებულება აღიარებს, რომ შეიძლება იყოს ხარვეზი, თუმცა თემატიკის მიხედვით „ფირმის მენეჯმენტი 1“-ის გაგრძელება არის „ფირმის მენეჯმენტი 2“, პირველ ნაწილში ისწავლება საგნები მაგალითად კონსულტორული მომზადება და ტექნოლოგიური მომზადება, ხოლო მეორე ნაწილში კოოპერაციულ, დამხმარე და მომსახურე წარმოების მენეჯმენტს, ამიტომ მოხდება სილაბუსების გადახედვა. ყველა სილაბუსებში ბოლო სწავლის შედეგად განსაზღვრულია, რომ სტუდენტი თავად გადაწყვეტს სწავლის მიმართულებებს, რადგან ნებისმიერი საგნის შესწავლის დროს სტუდენტმა უნდა განსაზღვროს რა მიმართულებით უნდა აირჩიოს თავისუფალი კომპონენტები.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა დაამატა, რომ პროგრამაში წარმოდგენილია ინოვაციური მენეჯმენტის სილაბუსი ამასთან დაკავშირებით რაიმე ტექნიკური ხარვეზია, რადგან კონკრეტული სასწავლო კურსის მიზანი ამბობს, რომ სტუდენტებს უნდა მისცეს ინოვაციური პროცესების არსის მნიშვნელობის შესახებ გარკვეული ცოდნა ხოლო თემატიკაში მხოლოდ ორი თემა შეეხება ინოვაციებთან დაკავშირებული მეტნაკლებად, ინოვაციების არსი და ფუნქციები, რაც ეხება მენეჯერებისა და მენეჯმენტის ზოგად ფუნქციებს, მეორე არის ინოვაცია და კლასიფიკაცია, სადაც გაწერილია პროექტების მართვა, ახალი მიმართულება ტრანსპორტის განვითარებაში, პროექტების მართვის გუნდური პრინციპი, სატრანსპორტო პროეტების მართვის საფუძვლები, საპროექტო გარემო, პროექტის სასიცოცხლო ციკლი. აქედან გამომდინარე არის თუ არა ეს ინოვაციური მენეჯმენტის სილაბუსი, ხომ არ არის ტექნიკური ხარვეზი?

დაწესებულების წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე კონკრეტული პასუხის გაცემა არ შეუძლიათ, სავარაუდოდ ეს არის ტექნიკური ხარვეზი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებით რეკომენდაციები და რჩევები, გაწერილია იმ პრინციპის დაცვით, რასაც სტანდარტი მოითხოვს. თუმცა გასაუბრების დროს მეტი ინფორმაცია იქნა გაცვლილი, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ პროგრამა იმყოფებოდა პირობითი აკრედიტაციის პირობებში და პროგრამაზე 508 სტუდენტი სწავლობს შემოწმების პროცესი მაქსიმალურად ზღვარზე იქნა გატარებული. დაწყებულია ცვლილებების და პროგრესირების პროცესი.
საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძმე დაამატა კითხვა, თუ რა ვადაში იქნება შესაძლებელი ხარვეზების გამოსწორება?
ექსპერტთა თავმჯდომარის შეფასებით შესაძლებელი იქნება რეკომენდაციებში გათვალისწინებული გარემოებების გამოსწორება 1 წლის ვადაში, ხოლო რჩევებში გათვალისწინებული გარემოებების შედარებით ნაკლებ დროში, თუმცა ეს დამოკიდებულია დაწესებულებაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 6 თვე საკმარისია ხარვეზების გამოსასწორებლად, ხოლო რეალურ თვიშეფასებამდე ჯამში 1 წელი.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:27
დასრულების დრო: 20:41

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა . სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო ს პროგრამისთვის 7 წლით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ, 1.2, 5.1 კომპონენტები და მე-5 სტანდარტი ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან'' განისაზღვრა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან'', ხოლო 2,2 კომპონენტი ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან'' განისაზღვრა როგორც ,, ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან''.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
2. პროგრამის სწავლის შედეგებში დაზუსტდეს ის სასწავლო კურსები, რომლებსაც აქვთ მესამე დონე - განმტკიცება
3. დაზუსტდეს სწავლის შედეგები სასწავლო კურსებში „ფირმის მენეჯმენტი 1“ და „ფირმის მენეჯმენტი 2“, რათა აღმოიფხვრას დუბლირება.
4. რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის შესწავლა იყოს სავალდებულო, რაც პროგრამის სტუდენტებს მისცემს საშუალებებს თანაბრად ქონდეთ წვდომა როგორც ინგლისურენოვან თანამედროვე მასალებთან, ისე აქტიურად ჩაერთონ ინტერნაციონალიზაციის პროცესში;
5. რეკომენდებულია საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტმა ისწავლონ კორპორაციათა ფინანსები ან ფინანსური მენეჯმენტი, რითას სრულად შეძლებენ პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას;
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,ფირმის მენეჯმენტი 1“ წინაპირობად ნაცვლად ,,მაკროეკონომის საფუძვლები“-ს სასწავლო კურსისა განისაზღვროს სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტის საფუძვლები“. სასწავლო კურსის ,,საერთაშორისო მენეჯმენტი“ წინაპირობად ნაცვლად ,,მარკეტინგი“-ს და ,,უცხო ენა 4“ სასწავლო კურსებისა განისაზღვროს სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტის საფუძვლები“. ამასთან ბუნდოვანია ,,უცხო ენა 4“-ში რომელი ენა იგულისხმება, ან რამდენად რელევანტურია მაგალითად ინგლისური ენის გარდა სხვა უცხო ენის მოცემულ კონტექსტში გამოყენება. დაკორექტირდეს ასევე ,,მენეჯმენტის ფსიქოლოგიის“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ ნაცვლად ,,საერთაშორისო მენეჯმენტისა“ განისაზღვროს მაგალითად ,,მენეჯმენტის საფუძვლები“; ასევე დაზუსტდეს წინაპირობები სასწავლო კურსებში: „მენეჯმენტის ფსიქოლოგია“, „საგარეო-ეკონომიკური კავშირები“;“სატრანსპორტო ლოგისტიკა“;“გლობალიზავია და ეროვნული ეკონომიკა“;“საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები“.
7. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსის ,,სტრატეგიული მენეჯმენტის“ წინაპირობად მითითებული სასწავლო კურსები ,,ფირმის მენეჯმენტი 2“ და ,,ეკონომეტრიკა“ მოვიდეს შესაბამისობაში კურსის სილაბუსით სწორად განსაზღვრულ წინაპირობასთან;

8. რეკომენდებულია ,,სამეწარმეო პრაქტიკის“ კომპონენტზე დაშვების წინაპირობად განსაზღვროს პრაქტიკის კომპონენტის გავლის დროისთვის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები, ნაცვლად სილაბუსით განსაზღვრული რამდენიმე სასწავლო კურსისა (ფირმის მენეჯმენტი 2, სოციალური ეკონომიკა, შრომის დაცვის საფუძვლები).
9. აღმოიფხვრას შინაარსობრივი გადაფარვები სასწავლო კურსებში: „ინვაციური მენეჯმენტი“ და „პროექტების მენეჯმენტი“.
10. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის ,,ფინანსური მენეჯმენტი“-ს შინაარსი და სწავლის შედეგები ნაკლებად შეესაბამება კურსის სახელწოდებას, შესაბამისად რეკომენდებულია აღნიშნული კურსის პროგრამიდან ამოღება ან კორექტირება;
11. დაზუსტდეს სასწავლო კურსების „სამრეწველო და სატრანსპორტო ფირმის მარკეტინგი“, „სამეწარმეო სამართლის საფუძვლები“ სათაურები, რათა ისინი სრულად შეესაბამებოდნენ კურსის შინაარსს.
12. სასწავლო კურსების შინაარსიის და გამოყენებული სასწავლო ლიტერატურის გათვალისწინებით რეკომენდებულია დაკორექტირდეს შემდეგი სასწავლო კურსების სახელწოდებები, კერძოდ: სასწავლო კურსის ,,სამეწარმეო ბიზნესის საფუძვლები“ სახელწოდება დაკორექტირდეს, როგორც ბიზნესის საფუძვლები. სასწავლო კურსის ,,სამეწარმეო ფირმის ეკონომიკა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც ,,ფირმის ეკონომიკა“, ხოლო სასწავლო კურსის ,,სამრეწველო და სატრანსპორტო ფირმის მარკეტინგი“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც ,,მარკეტინგის მენეჯმენტი“;
13. რეკომენდებულია ,,სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს ქართულ ენაზე ხელმისწავდომი ახალი ლიტერატურით, მაგალითად, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ფრედ დევიდის სტრატეგიული მენეჯმენტის 2017 წლის მეთხუთმეტე გამოცემა; სასწავლო კურსში ,,მენეჯმენტის საფუძვლები“ განახლებული იქნეს ლიტერატურა მაგალითად, ქართულ ენაზე არის რობინზი, კოუტლერის მენეჯმენტის 2018 წლის გამოცემა. ,,სამეწარმეო სამართლის საფუძვლებში“ რეკომენდებულია ,,სამეწარმეო სამართლის“ უახლესი 2019 წლის გამოცემის გამოყენება.
14. რეკომენდირებულია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები: ,,გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა“, ,,საქართველო - ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები“ მათი შინაარსისა და მიზნებიდან გამომდინარე უმჯობესია ჩამოყალიბდეს ერთი სასწავლო კურსის სახით;
15. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსშივე განხორციელდეს გამოყენებული შეფასების სისტემის დეტალური განმარტება, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის მეტ გამჭირვალეობას.
16. რეკომენდირებულია გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
17. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში, სრულად აისახოს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგების გამოყენება, კერძოდ დაკონკრეტდეს სად, რა ცვლილებები იქნა პროგრამაში განხორციელებული პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგების შეფასების შედეგად;

რჩევები:

1.სასურველია პროგრამას თან ახლდეს დაწესებულებას მიერ ჩატარებული უცხოური გამოდილების შესწავლის ე.წ. ,,ბენჩმარკინგის“ დეტალური ანგარიში;

2. პროგრამაში უცხო ენების სასწავლო კომპონენტში გამორჩენილია უცხო ენა - 3 ანუ B2.1 დონის სილაბუსები, სამაგიეროდ ორჯერ არის წარმოდგენილი უცხო ენა - 4-ის ანუ B2.2 დონის სილაბუსები, შესაბამისად აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გამოსასწორებელია;
3. სასურველია, პროგრამის ფარგლებში მეტი ყურადღება დაეთმოს და ცალკე კურსად იქნეს გათვალისწინებული ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: რისკების მენეჯმენტი, ლიდერობა და გუნდის მართვა, ციფრული მენეჯმენტი;

4. პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით წარმოდგენილია ფირმის მენეჯმენტი 1 (6 კრედიტი) და ფირმის მენეჯმენტი 2 (6 კრედიტი) სასწავლო კურსები, რომელიც განაწილებულია ორ სემესტრზე, თუმცა მათი შინაარსიის და სპეციფიკის გათვალისწინებით სასურველია მათი შესწავლა მოხდეს ერთ სემესტრში ფირმის მენეჯმენტის 6 კრედიტიანი სასწავლო კურსის ფარგლებში. რაც ასევე დამატებით მისცემს საშუალებას პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში 27 გამოთავისუფლებული იქნეს კრედიტები და გაიზარდოს თუნდაც უცხო ენების შესწავლის კრედიტები, შესაბამისად დონეები;

5. სასურველია პროგრამაში სამეწარმეო პრაქტიკის კომპონენტის (5 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომის მოცულობების გაზრდა შესაბამისად 10 და 15 კრედიტამდე, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის პრაქტიკული და სასწავლოკვლევითი კომპონენტის გაძლიერებას

6. ვინაიდან პროგრამა ორიენტირებულია სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვაზე სასურველია პროგრამის სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებს: ინოვაციების მენეჯმენტი და ინვესტიციები სამეწარმეო ბიზნესში - შეეცვალოს სტატუსი და გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსები;

7. სასურველია პროგრამაში სამეწარმეო პრაქტიკის კომპონენტის (5 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომის მოცულობების გაზრდა შესაბამისად 10 და 15 კრედიტამდე, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის პრაქტიკული და სასწავლოკვლევითი კომპონენტის გაძლიერებას
8. სასურველია დაწესებულებამ სრულად წარმოადგინოს შესამოწმებელ პროგრამასთან დაკავშირებული პოტენციური პრაქტიკის ობიექტების ნუსხა და მათთან გაფორმებული მემონანდუმები.
9. სასურველია დაწესებულებამ კიდევ უფრო გააქტიუროს მოწვეული სტუმრების მიერ ვორქშოფების, სემინარების, საჯარო ლექციების ჩატარების პრაქტიკა
10. სასურველია პროგრამის ფარგლებში მეტი აქცენტები გაკეთდეს ან კიდევ უფრო გააქტიურდეს სწავლა-სწავლების პრაქტიკულ მეთოდებზე.
11. სასურველია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები მეტად იყოს დივერსიფიცირებული კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, მაგალითად: სასწავლო კურსში 33 პროექტების მენეჯმენტი დასკვნითი შეფასების მეთოდად გამოყენებული იქნეს არა მარტო ღია შეკითხვები, არამედ უშუალოდ კურსის ფარგლებში შესრულებული პროექტი და მისი პრეზენტაცია;
12. სასურველია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იქნეს სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის, გაცვლით პროგრამებში ჩართულობის გასაზრდელად ქმედითი სამოქმედო გეგმა.
13. სასურველია ტრენინგების თემატიკის შესახებ ინფორმაციის მუდმივი განახლება, მიწოდება პერსონალისათვის და მეტი ხელშეწყობა ტრენინგებისა და გადამზადების პროგრამებში ჩართულობის გაზრდის კუთხით;
14. სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს ზუმის პლატფორმის სრულყოფილი გამოყენების შესაძლებლობის გაზრდაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ლექციების შეუფერხებლად ჩატარება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით და მონიტორინგით.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების წარმოება-გადამუშავებისა და სამაცივრო მოწყობილობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საკვები პროდუქტების წარმოება - გადამუშავება და სამაცივრო მოწყობილობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის № 426 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კვების ინდუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სურსათის გადამუშავება 0721
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	

		მ. კოსტავას ქ. 68, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სასწავლო კორპუსი N I, 0175 საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს დავით კაპანაძემ, ელიზბარ ელიზბარაშილმა და ნინო იმნაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ , ლევან გულუამ პირველ რიგში ხაზი გაუსვა მთავარ პრობლემას, რომელიც დაინახა ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს. მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამა თავისი სტრუქტურითა და საგნების შინაარსით შედგენილი არის უფრო მეტად ინჟენერ მექანიკოსისათვის, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ამას არ ამტკიცებს, რადგან მთავარი არგუმენტი არ არის ის, რომ აუცილებლად ინჟინერ-მექნიკოსისთვისაა, მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ არ არის სურსათის ტექნოლოგისათვის შედგენილი პროგრამა და ამის მთავარი მიზეზი არის, ის რომ არ ისწავლება ისეთი საგნები, რომლებიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სურსათის ტექნოლოგებისათვის (მაგალითად: ბიო ქიმია, მიკრო ბიოლოგია, სურსათის უვნებლობა, კვების პროდუქტების ბიო ქიმია, კვების პროდუქტების მიკრო ბიოლოგია და სხვა), ასეთ საგნებს, ნებისმიერ მსგავს უცხოურ პროგრამაში შეხვდებით. მან ასევე აღნიშნა, რომ როგორც ექსპერტისთვის ამ შემთხვევაში წარმოუდგენელია სურსათის ტექნოლოგის კვალიფიკაციის მინიჭება სტუდენტისათვის, რომელმაც არ იცის ბიო ქიმია და მიკრო ბიოლოგია. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო გამოხმაურებებს, როგორც ვიზიტამდე, ასევე ვიზიტის შემდეგ. ძირითადად ყველა გამოხმაურებაში საუბარია იმაზე, რომ საქართველოს ინდუსტრიას დღესდღეობით აუცილებლად სჭირდება, ისეთი კადრები, რომლებსაც შეუძლიათ კვების საწარმოს მანქანა დანადგარების შეკეთება და ისინი მიესალმებიან ასეთი კადრების მომზადებას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ეს არის აბსოლუტურად ყველა გამოხმაურების ძირითადი ესენცია, ამას არ ეწინააღმდეგება არც ექსპერტთა ჯგუფი, თუმცა ეს კადრები არ არიან სურსათის

ტექნოლოგები, ესენი შეიძლება იყვნენ ინჟინერ-მექანიკოსები. სურსათის ტექნოლოგმა, რა თქმა უნდა უნდა იცოდეს მანქანა დანადგარები იმ დონეზე, რა დონეზეც ის როგორც მომხმარებელი გამოიყენებს და არა იმ დონეზე, რომ მან შეძლოს ამ მანქანა დანადგარების კონსტრუირება, დაგეგმვა და სერვისი.

ექსპერტთა თავმჯდომარე, არ იცნობს ისეთი კადრს, რომელმაც იცის მიკრო ბიოლოგია, ბიო ტექნოლოგია, კვების პროდუქტები და თან მანქანა დანადგარების რემონტის გაკეთებაც შეეძლოს. ასეთი პერსონალი, არც დაწესებულების შტატშია. შეუძლებელია საერთოდ ასეთი ადამიანის არსებობა. აქედან გამომდინარე მანქანა დანადგარების შესწავლა, რომელზეც აპელირებს დაწესებულება, რა თქმა უნდა აუცილებელია, მაგრამ მაგალითად ქირურგმა უნდა იცოდეს თუ არა ლანცეტის დამზადების მეტალურგია და მისი ნახაზის გაკეთება ან ენდოკრინოლოგმა უნდა იცოდეს თუ არა ექოსკოპიური აპარატის რემონტი? რა თქმა უნდა არა, რადგან არ არსებობს ასეთი ადამიანი.

საბჭოს თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპსერტს, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ინჟინერი სასურსათო ტექნოლოგიაში, მაგალითად სურსათი - ყველი, ხოლო ყველის წარმოებას აქვს თავისი ტექნოლოგია და ინჟინერი, როგორც დარგის არასპეციალისტს ესმის, როგორც ადამიანი, რომელმაც იცის ყველის წარმოების პროცესში მანქანა დანადგარები.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ განმარტა, რომ მანქანა დანადგარების ცოდნა არ ნიშნავს იმას , რომ ადმაიანმა იცის მანქანა დანადგარების დაპროექტება, დამუშავება და სერვისი. ისევე როგორც მძღოლმა არ იცის შიდა წვის ძრავის მუშაობის პრინიციპი, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება კარგი მძღოლი იყოს, მანქანა თუ გაუფუჭდება ის წავა და ინჟნერ მექანიკოსს გააკეთებინებს მანქანას. ინჟინერი აუცილებლად ინჟინერ-მექანიკოსს არ ნიშნავს, ინჟინერი შეიძლება იყოს ბიო ინჟინერი, გენეტიკური ინჟინერი, კომპიტერული ინჟინერი და ასევე ცალკე არის ინჟინერ-მექანიკოსი. საინჟინრო სპეციალობაა სურსათის ტექნოლოგი და იქ ისწავლება საინჟინრო დისციპლინის საგნები. მაგალითად პროგრამას აქვს საგანი „პროცესები და აპარატები“, რომლის სწავლაც აუცილებელია სურსათის ტექნოლოგისათვის, რადგან მას შეეძლოს სითბური პროცესების კალკულაცია, როგორიც არის მაგალითად რძის პასტერიზაციასთან დაკავშრებული საკითხები. აღნიშნულ საკითებს თავად ასწავლის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მაგრამ საქვაბის დაპროექტებას და პასტერიზაციის დანადგარის აწყობას არ უნდა სწავლობდეს აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტი. ბუნებაში არ არსებობს ადამიანი, რომელმაც იცის პასტერიზაციის დანადგარის აწყობა და ასევე რძის ბიო ქიმია. მოწოდებულ ინტერნეტ რესუსრსები, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ამბობს რომ შემუშავდა პროგრამა, მაგალითად ბარსელონი საინჟინრო პროგრამაში, სადაც მოცემულია მთლიანად კურიკულუმი, სადაც არის ქიმიის ორი კურსი, ბიოლოგია, მცენარეთა ბიოლოგია და ჰიდრავლიკაც კი. თუმცა აქედან არცერთი საგანი არ ისწავლება განსახილველ პროგრამაზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღნძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა თავმჯდომარეს და აღნიშანა, რომ, როგორც ექსპერტთა თავმჯდომარე ამბობს ტექნოლოგია ნიშნავს, რომ მანქანა დანადგარი უნდა იცოდეს მისი გამოყენების დონეზე, მაგრამ ეს არ არის სიღრმეებშ შესვლა, როგორიც არის ამ დანადგარის დაპროექტება, შეკეთება და ა.შ. ეს ლოგიკა მისაღებია. თუ მსჯელობიდან სწორი დაკვნა გაკეთდა, ეს პროგრამა უფრო არის არა კვების ტექნოლოგია, არამედ კვების პროდუქტების მანქანა დანადგარები და მოწყობილობები, აქედან გამომდინარე მაინტერესებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეთავაზებული ვარიანტი, რომ დაამატონ ბიოლოგიის, ქიმიის და

ბიო ქიმიის საგნები, უფრო მარტივი შესასრულებელია თუ დასახელების ცვლილება. ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნა პროგრამის აკრედიტაციაზე უარის წინაპირობაა, თუმცა ეს პროგრამა უამრავი ადამიანის ძალიან დიდ შრომაზე ხაზის გადასხმაა. ამიტომ საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ შინაგანი რწმენა რომ მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, ამიტომ საჭიროა დაზუსტდეს 0721 დარჩება თუ არა. რაზეც ექსპერტთა ჯგფის თავმჯდომარე აღნიშანა, რომ უნდა შეიცვალოს დასახელება, რაც შესთავაზა ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას, მაგრამ დაწესებულება წინააღმდეგია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ პირველ რიგში დაწესებულების აზრით სწორი შეფასებისა და მართებული დასკვნების მისაღებად, საჭიროა დაზუსტდეს თუ სად არის წარმოდგენილი პროგრამისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის სწორი ადგილი კვალიფიკაციის ჩარჩოში. ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან გამომდინარე დაწესებულების წრამომდგენლები იძლებულები არიან აღნიშნონ, რომ შემფასებელი სრულყოფილად არ ითვალისწინებენ, თუ რას სწავლობს დეტალური სფეროს შიფრით 07/21 სურსათის გადამუშავება. შესაბამისად მოცემულია მცდარი განმარტება, თუ რა უნდა ისწავლოს ბაკალავრმა, ინჟნერიის ბაკალავრის სასურსათო ტექნოლოგებში კვალიფიკაციის მინიჭებისათვის. მცარი განმარტებით სურსათის ტექნოლოგს აიგივებენ საკვები პროდუქტების წარმოებასთან, გადამუშავება სამაცივრო მოწყობილობებთან, რასაც უშუალოდ წარმოადგენს აღნიშნული პროგრამა, რაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მსჯელობაში არაერთხელ გამოჩნდა. უნივერსიტეტს აქვს გამოცდილება კონკრეტულ ექსპერტთან მიმართებაში, რაც გასული წლის მაისის თვეში მოხდა, იმ შემთვევაშიც უმძმეს დასკვნა დაიწერა ასევე რადიკალური და 3 სტანდარტზე სრული შეუსაბამობით იქნა წარდგენილი. თუმცა იმ პროგრამამ, მაინც გააგრძელა ფუნქციონირება. მან ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან საბჭოს წარმომადგენლებში ამ დარგის სპეციალისტები არ არიან მნიშნელოვანია დაწესებულების ახსნა განმარტება უწყვეტ რეჟმში და შინაარსთან ბმაში გაგრძელდეს. სურსათის წარმოება და გადამუშავება, ეს არ არის მხოლოდ ტექნოლოგია, არამედ ეს არის წარმოებისას მიმდინარე პროცესები (დაქუცმაცება, დაწნეხვა, დახარისხება, ჩამოსხმა, დოზირება, დისტრიბუცია) ტექნოლოგიების განხორციელება და მისი ინდუსტრიალიზაცია. თანამედროვე კვების საწარმოში სასურსათო ნედლეულის გადამუშაევბა, მზა პროდუქციის წარმოება და დაფასოება განხორციელებულია ავტომატურ, ნაკადურ ხაზებზე, მართვის პროცესუალურ და კომპიუტერულ სისტემებზე, მათი ექსპულატაცია და სერვისი უნდა განახორციელოს სპეციალისტმა, რომელიც კარგად ფლობს ტექნოლოგიურ პროცესებს და ტექნოლოგიურ მოწყობილობებს. ასეთ სპეციალისტს წინა კვალიფიკაციის ჩარჩოდან 120/n კლასიფიკატორით, უწოდებენ ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალვრს. 69/n ბრძანებამ, ახალმა ჩრაჩომ გაითვალისწინა ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიებში. კანონქვემდებარე აქტში, მოცემული ალტერნატივა , რომ ამ სფეროს ფარგელბში შესაძლებელია სამი სახის კვალიფიკაციის მინიჭება. პროგრამის კვალიფიკაცია არ არის სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალავრი, რომელიც პრაქტიკულად დასკვნაში არაერთგზის არის აღნიშნული. დაწესებულების მიერ წარმოდგენული საბაკალვრო პროგრამა, სურსათის გადამუშავებაში წარმოებასთან ერთად უპირატესად შეისწვალის სურსათის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს და ტექნოლოგიური მოწყობილობებს. 69/n, 0721 სურსათის გადამუსავების სახელწოდებით „ შეისწავლის საკვები პროდუქტების და სასმელების

გადამაუშავება, წარმოებასა და შეფუთვას, ასევე საკვები პროდუქტების წარმოებისა და დისტრიბუციისას გამოყენებულ მოწყობილობებსა და პროცედურებს“ ამ სფეროს ფარგებში, ერთ-ერთ მისანიჭებელ კვალიფიკაციად ითვალისიწნებს, ინჟინერიის ბაკალავრს სასურსათო ტექნოლოგიებში ანუ ის ხაზი, რაც აიღო მიზან მიმართულად ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, ზუსტად ითვალისიწნებს დარჩენილ ნაწილს, რასაც არ ითვალისწინებს ექსპერტთა დასკნა. ზოგადად დარგი კვების ინჟინერია მოიცავს კვების პროდუქტების დამუშავებას, წარმოებას, შენახვას, კონსერვაციას, კონტროლს შეფუთვას და დისტრიბუციას. კვების ინჟინერია ითვლება და აღიარებულია, როგორც მულტი დისციპლინური და ამავდროულად ძალიან ვიწრო დარგი. დაწესებულებას აქვს პროგრამა, რომელიც ხორციელდება „რენე 1“- თან სასურსათო ტექნოლოგიებში, რომელიც რადიკალურად სხვა პროგრამაა, თუმცა განეკუთვნება 07/21 სფეროს. „რენე 1“- თან ორ დიპლომს გასცემს დაწესებულება, სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალვრის დიპლომი უფრო მეტად დაავიწროვა „რენე 1“- მა და განისაზღვრა, რძის პროდუქტების ტექნოლოგი. ის, რაზეც არის საუბარი ექსპერტების მხრიდან, სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულებაში არავინ დაობს ამაზე, თუმცა სფერო იმდენად ფართო და მულტი დისციპლინურია, რომ შეუძლებელია 240 კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნას ის საგნები, რასაც ექსპერტთა ჯგუფი ამბობს და ასევე ათვისებულ იქნას სფეროს დარჩენილი ნაწილი, რასაც პროგრამა სთავაზობს პროდუქტად. ტექნიკური უნივერსიტეტი, ამ შემთხვევაში გამოდის სფეროს უფრო შემთავაზებელი, რადგან დაწესებულება სთავაზობს სტუდენტს წარმატებულ პროგრამას. პროგრამის სახელწოდებაა „საკვები პროდუქტების წარმოება“ რაშიც იგულისხმება გადამუშავება და სამაცივრო მოწყობილობები. ექსპერტთა ჯგუფი ამბობს, რა შემდგენლობით და რა პროცესებით, მაგალითად ნაყინი, ხოლო დაწესებულება ამბობს რა ტექნოლოგიებით ანუ მაცივარშ ინახება, რაც ერთი სფეროა თავიდან ბოლომდე. ხოლო თუ გვინდა, რომ სფეროში ის სეგმენტი დაკმაყოფილდეს, რომელიც ტექნოლოგიურ პროცესებს და მოწყობილებებს შეეხება, პროგრამა კონკრეტული ხაზით მიდის, არა შემთხვევით შერჩეული საგნებით, არამედ უზრუნველყოფით „რენე 1“- თან ერთად გაკეთებული პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულს სფეროს მეორე ნაწილით. აღნიშნული მიდგომა უარყო ექსპერტთა ჯგუფმა, თუ საჭიროა გარაკვეული დოზით მიმართულებების გაძლიერება, ეს იქნება რამდენიმე სასწავლო კურსის დამატება თუ სხვა, არ ნიშნავს იმას, რომ პროგრამა არ უნდა განხორციელდეს. წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით არამხოლოდ განხორციელება დგას კითვის ნიშნის ქვეშ, არამედ ფიქრიც. დასკვნის პირველივე მიმართულებაში, თუ რატომ არ კმაყოფილდება სტანდარტი, საუბარია იმაზე, რომ „პროგრამის მიზანი არის სასურსათო ტექნოლოგის“ ბაკალავრის მომზადება, თუმცა არ არის ეს სასურსათო ტექნოლოგის მომზადება, ასევე სწავლის შედეგების შესაბამისობა ინჟნერ-მექანიკოსის ბაკალავრის კვალიფიკაციაზე, ამასთნ დაკავშრებითაც არც ინჟინერ-მექანიკოსის ბაკალავრის კვალიფიკაციას შეესაბამება. ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია ვერც ერთ შემთვევაში ვერ ითვალისწინებს ამ ვიწრო მიმართულებაში და სფეროში იმ სფეციფიკას, რაც სჭირდება. პირველ სტანდართან მიმართებაში, რეკომენდაციები დაწესებულებას მიაჩნია, რომ გაუმართლებელია და აქედან გამომდინარე ყველა სხვა რეკომენდაცია, (მაგალითად 2.5-თან მიმართებაში გაგრძელებული აღნიშNული კონტენტის ფარგლებში) სრულიად არამართებულია.

დაწესებულების წრამომადგენელმა, ოთარ გელაშვილმა აღნიშნა, რომ თავად არის ინჟინერ-მექანიკოსი და ტრანსპორტის სპეციალისტი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ არაკვალიფიციურად შეაფასა მექანიკის ინჟინერის სპეციალობა. აგრეთვე, ტრანსპორტთან მიმართებაში არამართებული შეფასება გაკეთდა, რადგან მძღოლი სხვა არის და ბაკალავრი სხვა. საინტერესოა რა საბაზისო განათლება აქვს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარეს, რადგან იცის ინჟინერიაც, ტრანსპორტიც, კვების ინდუსტრიაც და მოწყობილობა დანადგარებიც.

ექპსერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ არ ამტკიცებს, რომ პროგრამა არის ინჟინერ-მექანიკოსის, რადგან ეს არ არის მისი კვალიფიკაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გივი გოლეთიანმა აღნიშნა, რომ კარგად იცნობს დარგს და არსებულ პრობლემებსაც შესაბამისად. გარკვეულ საკითებში დაწესებულების წარმომადგენელი ითვალისწინებს რეკომენდაციებს, თუმცა არის რიგი საკითები, რომელსაც ეწინააღმდეგება. პირველ სტანდარტთან დაკავშრებით, რითიც ძირითადად არის შეფასებული პროგრამის მიზანი. მიუხედავად იმისა, რომ ამასთან დაკავშრებით ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულებას შორის იყო საუბარი, გაუგებარია ექპსერტთა დასკვნაში გაწერილი რეკომენდაცია, რომ პროგრამის მიზანს არ წარმოადგენს სურსათის ტექნოლოგის ბაკალავრის მომზადება და რომ დაწესებულება არ აძლევს იჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციას პროგრამის შედეგად. პროგრამაში გარკვევით წერია, რომ პროგრამის მიზანია ინჟინერის ბაკალავრის მომზადება სასურსათო ტექნოლოგიებში. ესეიგი პროგრამის მიზანს წარმოადგენს ინჟინერიის ცოდნით აღჭურვილი სტუდენტის მომზადება სასურსათო ტექნოლოგიაში, რომელიც ანალოგიურია უცხოეთის უნივერსიტეტების მიერ მინიჭებული კვების ინჟინერიის ბაკალავრის კავლიფიკაციასთან. 30-ზე მეტი უცხოური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა აძლევს კკვალიფიკაციას, როგორც სურსათის ტექნოლოგის, ასევე სურსათის ინჟინერის. საქართველოს კლასიფიკატორიში, სურსათის ინჟინრის კვალიფიკაცია ჩადებული იყო, თუმცა შემდგომში ამოიღეს, ამიტომ დარჩა მხოლოდ სურსათის ტექნოლოგი. აქედან გამომდინარე, სწორედ აღინიშანა, რომ რადგან დეპარტამენდი 75 წელია ასწავლის კვების, მანქანების და აპარატების სპეციალისტებს და ამ მიმართულებით აკადემიურ პერსონალს გააჩნია დიდი ცოდნა და გამოცდილება, დაწესებულება შეეცადა ცოდნა და გამოცდილება მინიჭებულიყო შესაბამისი კვალიფიკაციისათვის, ამისათვის მოიძებნა შეხედულება, რომ მინიჭებულიყო ინჟინერიის ბაკალვრი სასურსათო ტექნოლოგიებში, სადაც აქცენტი გადატანილია ინჟინერიის კვალიფიკაციის ცოდნის ამაღლებასთან დაკავშირებით. ასევე არის რეკომენდაცია, რომ წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმიდან ამოღებულ იქნას საგნები, რომლებიც არ არის სურასათის ტექნოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებს საუბარი ჰქონდათ ექსპერტთა ჯგუფთან, რომ პროგრამა მიზნად არ ისახავს სურსათის ტექნოლოგის ბაკალავრის კვალიფიკაციის კადრების მომზადებას. დაწესბეულების წარმომადგენლების აზრით სურსათის ტექნოლოგია ეს არ არის სურსათის ტექნოლოგი, იგი ფართო მცნებაა. სურსათის ტექნოლოგია მოიცავს, როგორც ტექნოლოგიურ ნაწილს ასევე საინჟინრო ნაწილს. სურსათის ტექნოლოგია არამარტო ქიმიური, მიკრო ბიოლოგიური, ბიოლოგიური პროცესებია, ასევე ის ძირითადი პროცესია, რაც ხდება რეალურად კვების დარგის საწარმოებში, რომ სასურველი სამეურნეო პროდუქცია განიცდის დაჭრას, დაქუცმაცებას, დახარისხებას, შეფუთვას, გაციებას, გაგრილებას და ა.შ ამის გარეშე აღნიშნული პროცესი შეუძლებელია, ამას სურსათის ტექნოლოგი არ სწავლობს, ამას სწავლობს სურსათის ინჟინერი. რაც შეეხება მეორე სტანდარტს, გამოთქმული არის შენიშვნა, რომ პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან და შესაბმისი რეკომენდაცია, რომ პროგრამის შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, გათვალისწინებულ იქნას დამსაქმებლების მოსაზრებები. ამასთან დაკავშრებით მან, ასევე განმარტა, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, რადგან მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ინჟინერიის ბაკალავრი სურსათის ტექნოლოგიებში და საგანთა ჯგუფი ისეა შედგენილი, რომ პროგრამა იძლევა ამ კვალიფიკაციის მინჭების საშუალებას. ასევე დამსამქებელთა მოსაზრების გათვალისწინებაზე, გაუგებარია აღნიშნული რეკომენდაცია, რადგან პროგრამის განხილვაში მონაწილეობა მიიღო წამყვანმა სასწავლო დაწესბეულებებმა, კვლევით ინსტიტუტებმა და დარგის სხვადასხვა წარმოებებში. 9 წარმოებიდან უშუალოდ განხილულ იქნა თვითონ

საწარმოში აღნიშნული პროგრამა, გათვალისწინებულ იქნა მათი შენიშვნები და აქედან გამომდინარე არის შედგენილი პროგრამა. ამასთან დაკავშრებით არის მხოლოდ დადებითი რეზიუმე.

ასევე რეკომენდაცია, რომ „პროგრამიდან ამოღებულ უნდა იქნას ისეთი საგნები, როგორიცაა გამოყენებითი მექანიკა, ელექტროტექნიკა და ელექტროტექნიკის საფუძვლები, ტექნიკური მექანიკა, კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობები, მარცვლეულისა და კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი მოწყობილობები, მაცივარ-მანქანების დაპროექტება, მანქანა დანადგარების მხატვრული კონსტრუირება, მიკროპროცესორული მართვა კვების ინდუსტრიაში, ჰაერის ტექნოლოგიური კონდიცირება, მობილური სამაცივრე სისტემები და სხვ მსგავსიი“ მაშინ როდესაც ევროპულ უნივერსიტეტებს, ყველა ეს საგანი აქვთ განსაზღვრული პროგრამაში. მაგალითად, კატალონიის პოლიტეტქნიკური უნივერსიტეტი ბარსელონა, ოჰაიოს უნივერსიტეტი აშშ, კეისერის უნივერსიტეტი თურქეთი, გალაცის უნივერსიტეტი რუმინეთი, სანპაულოს უნივერსიტეტი ბრაზილია, რუსის უნივერსიტეტი ბულგარეთი. სამხრეთის ქვეყნებში, კვების საწარმოებში ყველაგან სწავლობენ სამაცივრო მოწყობილობებს, ხოლო ექსპერტები ამბობენ რომ ყველა ეს საგანი ამოღებულ იქნას პროგრამიდან. რაც შეეხება დარგს, რისთვისაც მზადდებიან სტუდენტები ეს არის სოფლის მეურნეობის წარმოების მიერ მიღებული პროდუქტების გადამუშავება. ყველა აღნიშნული პროდუქცია არის მალფუჭებადი ამიტომ საჭიროა მათი დროული, უდანაკარგო გადამუშავება და შენახვა, სწორედ ამიტომ არის სახელმწიფო დებს ასსეთ ინვესტიციებს და გადამუშავებელ საწარმოების ხელშეწყობისათვის პროექტ „აწარმოე საქართველოში“ არის პროგრამა. ამავდროულად ბოლო პერიოდშ დაახლოებით 47 მილიონი ჩაიდო და შეიქმნა 30 სამაცივრო მოწყობილობა, ამჟამად 36 მილიონი არის ჩადებული და კიდევ 26 სამაცივრე მოწყობილობა იქმნება. რაც გამომდინარეობს მისი აუცილებლობიდან. საქართველოს ბაზარი გაჯერებულია უცხოური პროდუქციით და ქართული პროდუქციით არა, რადგან დროულად არ ხდება მისი გადმუშავება და შენახვა. ამდენად პროგრამას, აღნიშნული საგანთა ჯგუფი აუცილებლად სჭირდება. აგრეთვე რეკომენდაცია პრაქტიკულ სამეცნიერო კვლევით სამუშაოებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების წარმომადგენლება სთხოვეს ექსპერტთა ჯგუფს უფრო დეტალურად გაცნობოდნენ აღნიშნულ საკითხს, ასე არ მომხდარა და შემუშავდა რეკომენდაცია „საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში გათვალისწინებულ იქნას ისეთი აქტივობები, რაც განაპირობებს სურსათის ტექნოლოგისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენას, მაგალითად, მონაწილეობა სურსათის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებში, ტექნოლოგიური რეჟიმების მართვაში, ხარისხის ბიოქიმიურ და მიკრობიოლოგიურ კონტროლში და სხვა.“ ფაკულტეტზე, საუკეთესოდ არის ორგანიზებული საწარმოო პრაქტიკის საკითები. სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან წამყვანი დარგის საწარმოებში, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიაა და თანამედროვე მანქანა დანადგარებია. აღნიშნულ საწარმოებთან გაფორმებული აქვს ტექნიკურ უნივერისტეტს ხელშეკრულება ურთიერთ თანამშრობლობის შესახებ. პრაქტიკის პროგრამა განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე და მას ამტკიცებს დეკანი, შესაბამისად საწარმო გამოყოფს მენტორს ისევე როგორც უნივერისტეტი გამოყოფს მენტორს და ამ პრაქტიკის განმავლობაში, რომელიც მიმდინარეობს 15 კვირის განმავლობაში, სტუდენტი შეისწავლის საწარმოების ძირითადად დამხმარე საამქორებს, იქ არსებულ მანქანა დანადგარებს და მასზე მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს, უშუალოდ მონაწილეობენ ტექნოლოგიურ პროცესებში ოპერატორის თანაშემწეებად, ასევე ეცნობიან წარმოებში ძირითად ხარისხის საკითხებს. მან ასევე აღნიშნა რომ განსხვავება არის მხოლოდ ერთი. ექსპერტთა ჯგუფი მიიიჩნევს აღნიშნულ პროგრამაზე, რომ მზადდება სურსათის ტექნოლოგი, ხოლო დაწესებულების პოზიციაა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე მზადდება ინჟინრები სურსათის ტექნოლოგიაში. დაწესბულებას აქვს დადებითი გამოხმაურებები ყველა წარმოებიდან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში წერია გათვალისწინებულ იქნას დამსაქმებლის მოთხოვნები, რაც გამომდინარეობდა იქიდან, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დამსაქმებლებს, დაისვა კითხვა, თუ ვის ელოდება დამსაქმებელი თავის საწარმოში აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულის სახით, რაზეც დამსაქმებელმა უპასუხა, რომ ეს არის ინჟინერ-მექნიკოსი. დამსაქმებელი დაწესებულებისგან ითხოვს ინჟინერ-მექნიკოსს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამა გათვალისიწნებულია იმ სტუდენტებისთვის, ვინც იქნებიან ინჟინერ მექანიკოსები და არა სურსათის ტექნოლოგები. ინჟინერი აუცილებლად არ არის ის პირი, ვინც მანქანებს აკეთებს და არემონტებს. ექსპერტთა ჯგუფის წევრს, ქეთევან კინწურაშვილს დიპლომში უწერია ინჟინერ-ტექნოლოგი, თუმცა მან არ იცის მანქანების რემონტი. რაც შეხება უცხოურ პროგრამებს და გამოცდილება, კვების ტექნოლოგიაშ არცერთ პროგრამაში არ არის განსაზღვრული რომ ბიო ქიმია და მიკრო ბიოლოგია არ უნდა ისწვალებოდეს, ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუმა გააკეტა შენიშვნები. ტექნოლოგიის ინჟინერმა აუცილებლად უნდა იცოდეს ბიო ქიმია და მიკრო ბიოლოგია, ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას პასუხი არ გაუკეთებია. ექსპერტთა ჯგუფი ასევე ესაუბრა სტუდენტებს, რომლებმაც აღნშნეს, რომ ისინი ფიქრობდნენ სურსათის ტექნოლოგები გამოვიდოდნენ, თუმცა როდესაც მივიდნენ საწარმოში და თავიანთი ცოდნის შესახებ უთხრეს დამსაქმებელს, დამსაქმებელმა უპასუხა რომ ეს განათლება სურსათის ტექნოლოგის შესაბამისი არ არის. აქედან გამომდინარე, ექსპერტის მოსაზრებით, სიტყვების შეცვლით არ არის მართებული სტუდენტის მოტყუება. გადამუშავება ეს არ არის მხოლოდ ბიო ქიმიური და მიკრო ბიოლოგიური პროცესები, რაცა სევე აღინიშანა დაწესებულების წარმომადგენლის მსჯელობაში და ასევე გამოხმაურეებებში. ესეიგი ბიო ქიმიური და მიკრო ბილოგიური პროცესები ყოფილა. დაასახელოს დაწესბეუელბამ ერთი ადამიანი რომელიც არის სურსათის ტექნოლოგი და ამავდროულად იცის მანქანა-დანადგარების შეკეთება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქეთევან კინწურაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე არის გადამწყვეტი აღნიშნული პროგრამის განხილვისას და ის რასაც აღნიშნავს, გამომდინარეობს თავისი სფეცილობიდან და დარგობრივი უნარებიდან, რასაც ის ფლობს. ის აბსოლუტურად სწორად რეაგირებს იმაზე, რომ სურსათის ტექნოლოგი ამ პროგრამით მიღებული ცოდნით ვერ შედგება. პროგრამის ხელმძრვანელი აღნიშნავდა, რომ ის არ ამზადებს სურსათის ტექნოლოგს და სწორედ აქ არის ექსპერტთა ჯგუფისა და პროგრამის ხელმძღვანელის აზრებს შორის სხვადასხვაობა. ექპერტების და დაწესებულების აზრითაც, პროგრამა არ ამზადებს ტექნოლოგებს. მაგრამ, პროგრამას, თავისი სახელწოდებით, და არა შინაარსით, გარკვეულ წილად შეცდომაში შეყავს მსმენელი და ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ასეთ სპეციალისტს ამზადებს. ექსპერტი აღნიშნავს, რომ ის, ცალკე აღებული, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი და დეკანი, შედის დაწესებულების მდგომარეობაში, ეთანხმება, რომ განსახილველი პროგრამა უმნიშვნელოვანესია ქვეყნისთვის და ძალიან სჭირდება მას. თუმცა, მთავარ პრობლემად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ფაკულტეტს უკვე აქვს ამ ტიპის სხვა პროგრამა და ორ მსგავს პროგრამას გაუჭირდა თანაარსებობა. რის საფუძველზეც თვლის ექსპერტი, რომ აღნიშნული პროგრამისათვის ამ კონკრეტული კვალიფიკაციის მინიჭება სწორედ ამით არის გამოწვეული და სხვა შემთხვევაში ამ კვალიფიკაციით არ იქნებოდა წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ქეთევან კინწურაშვილი ერთის მხრივ ეთანხმება საბჭოს თავმჯდომარის, ნათია ჯიშკარიანისა და საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის მოსაზრებას, რომ წარმოდგენილი პროგრამა უმნიშვნელოვანესია ქვეყნისთვის, რომ მის უკან დგას პერსონალი, ამ დარგის მოსამზადებელი სპეციალისტები და ძნელია პროგრამაზე ხელაღებით უარის თქმა. თუმცა, მეორეს მხრივ, ექსპერტი უთითებს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ როდესაც სიტყვა „ტექნოლოგი“ წამოწეულია წინა პლანზე და ეს გახლავთ კვების ტექნოლოგი, მაშინ მან აუცილებლად უნდა იცოდეს ის პროცესები, რაც ტექნოლოგიური გადამუშავების შედეგად კვების პროდუქტების მიღებას სჭირდება და რაც არ უნდა ინჟინრული მიმართლებით მივუდგეთ საკითხის

გადაწევეტას, ინჟინერი ვერც მანქანას შექმნის, ვერც მოწყობილობას ისეთს, რომელიც კვების ინდუსტრიას მოემსახურება თუ მას არ ექნება გარკვეული ცოდნა იმ პარამეტრებისა და რეჟიმების, რომელზეც მოწყობილობამ უნდა იმუშაოს. ექსპერტი ასევე აღნიშნავს, რომ დასკვნის მომზადებისას მისი პოზიცია არ ყოფილა კატეგორიული იმასთან დაკავშირებით, რომ დასკვნა ასე მკაცრად წარმოდგენილიყო, მაგრამ მთავარ ნაწილს, რაც შეეხება კვალიფიკაციასთან შეუსაბამობას, ამას ისიც ეთანხმება. აღნიშნულმა საკითხმა გადაფარა და დღის წესრიგიდან მოხსნა სხვა საკითხები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი პროგრამის ანალოგიური სხვა პროგრამა. არამედ, მათ აქვთ ორ დიპლომიანი პროგრამა, რომელიც „რენე 1“-თან ერთად ხორციელდება და მას „სასურსათო ტექნოლოგიები“ ეწოდება, წარმოდგენილი პროგრამა კი არის „საკვები პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და სამაცივრო მოწყობილობები“. ამასთან, პროგრამა არ ამზადების სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრს, არამედ - ინჟინერიის ბაკალავრს, რასაც ითვაისწინებს სწორედ გადამუშავება, სამაცივრო მოწყობილობები და მთლიანად პროგრამის შინაარსი. დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ნორმის განმარტების გამოყენებისა და „69 ნ“ ნორმაში არსებულ კვალიფიკაციის მინიჭების სამი შესაძლებლობის გაანალიზების საფუძველზე ცხადი გახდება, რომ ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია მართალი იქნებოდა თუ ისინი შეაფასებდნენ პროგრამას, რომელიც აგრარულ ფაკულტეტზე აქვთ მათ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამა არ შეესაბამება კლასიფიკატორით განსაზღვრულ 0721 დეტალურ სფეროს, ხოლო როგორია აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია, შეესაბამება თუ არა პროგრამა კლასიფიკატორით განსაზღვრულ 0721 დეტალურ სფეროს?

აღნიშნულთან დაკავშირებითაც, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დიახ, პროგრამა შეესაბამება კლასიფიკატორით განსაზღვრულ 0721 დეტალურ სფეროს

საბჭოს წევრმა, ნიკა თინიკაშვილმა კითხვით მიმართა, როგორც ექსპერტთა ჯგუფს, ასევე დაწესებულებას და აღნიშნა, რომ იყო საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილი პროგრამა ინჟინერ მექანიკოსისთვის ვერ იქნება. საბჭოს წევრი საკითხის განსამარტად იშველიებს დისკების დოკუმენტს, რომელსაც ეყრდნობა საკვალიფიკაციო ჩარჩო. საბჭოს წარმომადგენელი ეხება დოკუმენტში მოცემულ 0721 დეტალური სფეროს შინაარსს, რომელშიც აღნიშნულია: „ფუდ ფროსესინგ“ რასაც ახლავს განმარტება, თუ რა მიმართულებებით შეიძლება მოხდეს იმ ინჟინერის მომზადება, რომელიც მოემსახურება კვების, სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულებით სხვადასხვა მოწყობილობებს, დანადგარებს და ა.შ. აქედან გამომიდინარე, საბჭოს წევრი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ინჟინერ მექანიკოსი ვერ მომზადდება. თუ საუბარია, რომ პროგრამა არ შეესაბამება კვალიფიკაციას, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის სხვა კვალიფიკაციის შესაბამისია. პროგრამას აქვს არსებობის ტრადიცია, რომელიც ანიჭებდა ძველი კვალიფიკაციის კვების ინდუსტრიის, ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრის ხარისხს, ახლა ენიჭება არა ბაკლავრის ხარისხი, არამედ ინჟინერიის ბაკალვრის ხარისხი აღნიშნული მიმართულებით. რაც შეეხება დასკვნას, მან აღნიშნა, რომ დასკვნაში ნახსენებია სტუდენტების შეცდომაში შეყვანაზე, თუმცა დასკვნის პროექტში, მესამე სტანდარტი არის სრულ შესაბამიობაში. თუკი გასაუბრებაზე მსგავსი საკითხები დაფიქსირდა, რატომ არის მესამე სტანდარტი სრულ შესაბამისობაში. პროგრამაზე სწავლობას 150-მდე სტუდენტი, ხოლო 70% დასაქმებულია პროფესიით, ასევე საუბარი იყო დამსაქმებელებთან. როგორ საქმდებიან სტუდენტები პროფესიით, თუკი ამ მიმართულებით არ არის მოთხოვნა და სხვა მიმართულებით ხდება სწავლება. საბჭოს წევრმა, ასევე განმარტო რომ დასკვნაში რჩევა არ

ფიგურირებს, ყველა რეკომენდაციის ხასიათისაა და როგორ არის შესაძლებელი ინსტიტუციას განმავითარებელი საკითხები დაუსვას ექპერტთა ჯგუფმა და ერთი რჩევაც არ იყოს წარმოდგენილი დასკვნაში. მისი მოსაზრებით, კვალიფიკაციათა ჩარჩოდან, ინჟინრის მომზადებისათვის ჩამოთვლილი 10 სასწავლო კურსიდან არის, ისეთი სასწავლო კურსები, რომელიც ინჟნრის მომზადებისათვის აუცილებელია.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ გასაგებია ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და ის რომ პროგრამის შინაარსით მომზადებული კურსდამთავრებული არის მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის და აქვე ექსპერტთა ჯგუფი ასაბუთებს, რომ კვალიფიკაცია ამას არ შეესაბამება, ექსპერტთა თავმჯოდმარემ, როგორც დარგის სპეციალისტმა განმარტოს, აღნიშნული პროგრამის კურსადმთავრებულს, რა კვალიფიკაცია შეიძლება მიენიჭოს?
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან გულუამ, კურსდამთავრებულის სპეციალობასთან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ თავად დამსაქმებლებმა დაუსვა აღნიშნულ საკითზე კითხვები ექსპერტთა ჯგუფმა, თუ ვის ელოდება დამსაქმევული პროგრამის კურსდამტავრებულის სახით, ხოლო დამსაქმებლის პასუხი იყო, რომ ელოდებიან ინჟინერ-მექანიკოსებს. კვალიფიკაციის ჩარჩოდან გამომდინარე, ექსპერტთა თავმჯდომარის აზრით აღნიშნული პროგრამა უფრო მეტად მორგებულია ინჟინერ-მექანიკოსზე. თუმცა ამას არ ამტკიცებს ექსპერტთა ჯგუფი, რადგან მათი ვალდებულება არ არის დაამტკიცოს პროგრამა რას შეესაბამება, არამედ დაამტკიცოს რომ არ შესააბამება სურსათის ტექნოლოგიას. მნიშნელოვანი ამ ცოდნის კურსამთავრებული ჰყავდეს წარმოებას, თუმცა მათ სურსათის ტექნოლოგის ინჟინერს ვერ ვუწოდებთ. რაც შეეხება სტუდენტთა შეცდომაში შეყვანას და მის არ ასახვას დასკვნაში, ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს პუნქტი დაწერა სტუდენტმა, თავისი აზრით შეაფასა პროგრამა და ექსპერტთა თავმჯდომარე არ ჩარეულა, რადგან არ მიაჩნია სწორად, აზრი მოახვიოს თავზე კომისიის წევრს. იურიდიული ფორმულირებით შედეგი მაინც არ იცვლება. სტუდენტები იყვნენ შეცდომაში შეყვანილები, ხოლო სტუდენტთა 70% დასაქმებას პროფესიით, დიახ სტუდენტები საქმდებიან, თუმცა აღნიშნული პროფესია არის ინჟინერ-მექანიკოსი და არა სურსათის ტექნოლოგი.
სტუდენტმა ექსპერტმა, ლანა ბოკუჩავამ დასაქმებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დიახ საქმდებიან კურსამთავრებულები, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ იყო თუ რამდენად იყო ეს სურსათის ტექნოლოგის პროფესიით. 3.1 ნაწილში, შეფასება იყო სრული და შესაბამისად არ იყო პრობლემური.
დაწსებულების წარმიმადგეენელმა, დავით მახვილაძემ დასქმებასთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ მათთვის ცნობილია თუ როგორია გამოკითხვის ტექნიკა, ხოლო თუ ექსპერტთა ჯგუფმა კურსდამთავრებულებს დაუსვა შეკითხვა, არიან თუ არა სურსათის ტექნოლოგები, პასუხი იქნებოდა შესაბამისი, დაწესბულებას სტდუენტები მომზადებული არ შეჰყავს ექსპერტებთან,მათ არც საუბრის ლიმიტი აქვთ განსაზღვრული. თუ სტუდენტებმა უარყვეს, რომ აგრარული ფაკულტეტის სტუდენტები არიან ისნი ხართ თუ არა, დაწესებულებაც ამბობს ამასთან დაკავშირებით, რომ არ არიან და შესაბამისაც სტუდენტებიც ამას იტყოდნენ. წლებია აღნიშნული პროგრამა ფუნქციონირებს და ერთ0ერთი მოთხოვნადია, მათ შორის ფაკულტეტზე. აღნიშნულ შენიშვნას, რომ სტუდენტები შეცდომაში შეყავს დაწესებულებას, დაწესებულება ვერ მიიღებს.
საბჭოს წევრა ნიკა თინიკაშვილმა აღნიშნა, რომ ინჟინერის ბაკალვრის ბაკალავრის მინიჭების შემთვევაში ამ პროგრამაში ვერ გამოითლება 120 კრედიტი, რომელიც გაიყვანს აღნიშნულ კვალიფიკაციაზე. ინჟინერიის ბაკლავრი რომ მიენიჭოს კურსდამთავრებულს, პროგრამაშ 120 კრედიტი დაითვლება თუ არა?
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა რომ ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხი, არ არსებობს ასეთი კვალიფიკაცია, უნდა განისაზღვროს რომელ სფეროში. ხოლო სასურსათო ტექნოლოგიაში ინჟინერის კვალიფიკაციისათვის 120 კრედიტი ვერ დაითვლება.

0721დეტალური სფერო არის მორგებული სურსათის ტექნოლოგიის ინჟინერიაზე, იმ მიმართულებით, რომ სერვისი გაუწიოს მანქანა დანადგარებს, გაარემონტოს და ა.შ ამ შემთხვევაში რა კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს სურსათის ტექნოლოგებს, რომლებიც აღნიშნულ საგნებს არ სწავლობენ. მაგალითად M უნივერსიტეტში, სადაც სწავლობენ: ბიო ქიმიასს, მიკრო ბიოლოგიას, პროცესებს და აპარატებს, მაგრამ არ სწავლობენ საგნებს როგორებიცაა: ელექტრო ტექნიკა, მანქანების დანადგარების დაპროექტება და სხვა. რა კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს ამ შემთხვევაში?

საბჭოს წევრმა ნიკა თინიკაშილმა უპასუხა, რომ 0721 დეტალური სფერო თავის მხრივ არის წარმოება და გადამუშავება, 0721დეტალური სფერო არის სასურსათო ტექნოლოგია და შესაძლებელია სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი. ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში, ორი სხვდასხვა რამეა და ამ მიმართულებით 120 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები, არის თუ არ არის?

რაზეც ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არ არის. ასევე კითხვით მიმართა, არის თუ არა საბჭოში კვების ტექნოლოგიის დარგის სპეციალისტი?

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კვების ტექნოლოგი არა, თუმცა თავად არის „აისო 22 000“-ის Food Safety სტანდარტების სფეციალისტი, ხარისხის მართვის სრული ეგიდით. კვების ტექნოლოგი არა, თუმცა სტანდარტი კვების ტექნოლოგიის მარეგულერებელ ნორმებს შეიცავს.

საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ, დააფიქსირა აზრი, რომ საბჭოს წევრების, ექსპერტების და დაწესებულების პროფესიაზე მითითება არის არა ეთიკური.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 22:00

დასრულების დრო: 23:40

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაssiპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების წარმოება-გადამუშავებისა და სამაცივრო მოწყობილობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ერთი წლით და 6 თვით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ, 1, 2, 4, 5 სტანდარტები და 1.1, 2.2, 2.3, 2.4, 4.1, 4.3, 4.4, 5.2 5.3 კომპონენტები ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან'' განისაზღვრა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან''.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1. პროგრამის დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შინაარსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
2. რეკომენდირებულია გათვალისწინებულ იქნეს დამსაქმებლის მოსაზრებები
3. პროგრამაში წარმოდგენილ იქნას საგნები, რომელბიც აუცილებელია ინჟინერიის ბაკალავრი სა სურსათო ტექნოლოგიაში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის.
4. პროგრამიდან ამოღებულ იქნას ისეთი საგნები, როგორიცაა გამოყენებითი მექანიკა, ელექტროტექნიკა და ელექტროტექნიკის საფუძვლები, ტექნიკური მექანიკა, კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობები, მარცვლეულისა და კომბინირებული საკვების

გადამამუშავებელი მოწყობილობები, მაცივარ-მანქანები დაპროექტება, მანქანა დანადგარების მხატვრული კონსტრუირება, მიკროპროცესორული მართვა კვების ინდუსტრიაში, ჰაერის ტექნოლოგიური კონდიცირება, მობილური სამაცივრე სისტემები და სხვ მსგავსი.
5. სასწავლო პროგრამაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ისეთი საგნები, როგორიცაა, ზოგადი ბიოქიმია, კვების პროდუქტების ბიოქიმია, ორგანული ქიმია, ზოგადი ბიოლოგია, მიკრობიოლოგია, კვბის პროდუქტები მიკრობიოლოგია, ბიოტექნოლოგია და სხვა მსგავსი.
6. საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში გათვალისწინებულ იქნას ისეთი აქტივობები, რაც განაპირობებს სურსათის ტექნოლოგისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენას, მაგალითად მონაწილეობა სურსათის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებში, ტექნოლოგიური რეჟიმების მართვაში, ხარისხის ბიოქიმიურ და მიკრობიოლოგიურ კონტროლში და სხვ.
7. ლაბორატორიულ მეცადინეობებს დაემატოს ორგანული ქიმიის, ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიული მეცადინეობები.
8. აუცილებელია დამატებით მოწვეული იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის
9. აუცილებელია პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის გაზრდა, ასევე სასწავლო პროგრამის შესაბამისად ისეთ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და პერსონალის შესაბამისი სტაჟირების დაგეგმვა რომელიც შეესაბამება სასწავლო პროგრამის შინაარსს.
10. აუცილებელია სილაბუსებში და სასწავლო პროგრამაში აღნიშნული იყოს ბიოქიმიური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური ლაბორატორიული სამუშაოებისათვის განკუთვნილი უნივერსიტეტის შენობა/ნაგებობა; რადგანაც ვიზიტისას დათვალიერდა მხოლოდ პრაქტიკული სამუშაოებისათვის განკუთვნილი სამაცივრე დანადგარების საცდელი ოთახი. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროგრამა გამოიყენებს სხვა შენობაში არსებულ ლაბორატორიას, უნივერსიტეტის სიდიდის გათვალისწინებით, აუცილებელია ცალკე შეიქმნას ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური ლაბორატორია აღნიშნული სასწავლო პროგრამისათვის.
11. სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია გამოყოფილი ბიუჯეტის გაზრდა პროგრამის განვითარებისათვის, როგორიცაა ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენა, საჭირო ქიმიური რეაგენტები, პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები.
12. განხორციელდეს გარე შეფასება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.
13. უნივერსიტეტმა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უნდა განახორციელონ სრული მონიტორინგი სასწავლო პროგრამების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისობაზე; ჩატარდეს ყველა ის საჭირო ტრენინგი სასწავლო პროგრამსი ხელმძღვანელებისა და პერსონალისათვის რომელიც ჩართულია სასწავლო პროგრამის შემუშავების პროცესში

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების წარმოება-გადამუშავებისა და სამაცივრო მოწყობილობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია ერთი წლით და 6 თვით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 23 ივნისს 23:41 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნაცვლიშვილი ეკატერინე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ